საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 100 (20141) შაბათი, 30 აპრილი, 1988 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ 28 აპრილს გამართულ მორიგ სხდომაზე განიხილა მთელი რიგი ორგანიზაციული საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია სკკპ XIX საკავშირო კონფერენციის მომზადებასთან და მოწყობასთან.

პოლიტბიურომ განიხილა მთავრობის მიერ შემუშავებული ელექტრონული მრეწველობის განვითარების დაჩქარების წინადადებანი. სხდომის დროს აღინიშნა, რომ საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების, მოწინავე მეცნიერულ-ტექნიკურ მიჯნებზე ქვეყნის გასვლის უზრუნველყოფისათვის გამიზნული კურსის შესრულება გადაუდებელ ღონისძიებებს მოითხოვს ელექტრონული მრეწველობის შემდგომი აღმავლობისათვის, რომლის პროდუქცია გადამწყვეტ გავლენას ახდენს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებაზე, მისი ეფექტიანობის ზრდაზე. მით უმეტეს, რომ უკანასკნელ წლებში მართვის ელექტრონული საშუალებების, გამოთვლითი ტექნიკის მქონე მანქანების, მოწყობილობისა და ხელსაწყოების წარმოების გაფართოებასთან ერთად სერიოზული დისპროპორცია შეიქმნა ელექტრონული ტექნიკის ნაწარმზე მოთხოვნილების ზრდის ტემპსა და ელექტრონული მრეწველობის განვითარების დასახულ პერსპექტივებს შორის.

მოიწონეს საბჭოური ელექტრონიკის სამეცნიერო და საწარმოო ბაზის გაფართოება-განმტკიცების ღონისძიებათა კომპლექსი. დასახულია მეთორმეტე და მეცამეტე ხუთწლედების მანძილზე და 2000 წლამდე პერიოდში გაიზარდოს ელექტრონული მრეწველობის სიმძლავრეები, მოეწყოს მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქცია და აშენდეს მთელი რიგი ახალი ქარხნები ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში, შეიქმნას მიკროელექტრონიკის პრობლემებზე მომუშავე სამეცნიერო ცენტრები. მიღებულია გამოყენებითი და ფუნდამენტური გამოკვლევების კომპლექსური პროგრამა, რომელთა მიზანია ელექტრონიკის ტექნიკური დონის მნიშვნელოვანი ამაღლება. გათვალისწინებულია ამ სამუშაოებში ჩააბან სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ორგანიზაციები და უმაღლესი სასწავლებლები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მოიწონა ფართო აქტივის მონაწილეობით ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ლიტვის სსრ მინისტრთა საბჭოს, ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ესტონეთის სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ შემუშავებული ამ რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის მართვის გენერალური სქემები. მართვის სრულყოფის წინადადებანი განიხილეს და მხარი დაუჭირეს რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების სესიებზე. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებისა და სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად ახალი სქემების მიზანია მართვის რადიკალური გარდაქმნა, მისი აპარატის შემცირება და გაიაფება, ამ რესპუბლიკების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისადმი ხელმძღვანელობის უპირატესად ეკონომიკურ მეთოდებზე გადასვლისათვის ორგანიზაციული წანამძღვრების შექმნა.

პოლიტბიურომ განიხილა და მოიწონა 21-22 აპრილს მოსკოვში ვიზიტად მყოფ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანთან ჯ. შულცთან მ. ს. გორბაჩოვის საუბრისა და ე. ა. შევარდნაძის მოლაპარაკების შედეგები. ხაზგასმით აღინიშნა, რომ უშიშროების საკითხებზე, რეგიონალურ პრობლემებსა და ორმხრივ ურთიერთობაზე აზრთა გაზიარების დროს მიაღწიეს გაგებას საბჭოთა კავშირამერიკის მორიგი უმაღლესი დონის შეხვედრის კონცეფციების გამო და შეათანხმეს მის მოწყობასთან დაკავშირებული ძირითადი ღონისძიებანი.

საბჭოთა ხელმძღვანელობა მზად არის ყველაფერი იღონოს იმისათვის, რომ მოსკოვის უმაღლესი დონის შეხვედრა კონკრეტული და დიდი შედეგებით დამთავრდეს. რა თქმა უნდა, ამისათვის საჭიროა ამერიკის მხრივ შესაბამისი შემხვედრი მისწრაფებაც, მისი მზადყოფნა ანგარიში გაუწიოს პოლიტიკურ რეალობებს, გაითვალისწინოს პარტნიორის ინტერესები, საგულდაგულოდ აწონ-დაწონოს მსოფლიოს წინაშე თავისი პასუხისმგებლობა და უარი თქვას სხვებისათვის თავისი შეხედულებებისა და ღირებულებების თავსმოხვევის ცდებზე.

პოლიტბიურომ მოიწონა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში ნ. ი რიჟკოვის ოფიციალური მეგობრული ვიზიტის შედეგები. საბჭოთა კავშირ-უნგრეთის ურთიერთობის უმნიშვნელოვანეს საკითხთა საქმიანი განხილვა და მიღწეული მორიგებანი ახალ შესაძლებლობებს სახავს საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის ძმური ურთიერთობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცებისათვის. აღინიშნა, რომ მიზნების ერთიანობასა და სსრ კავშირსა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში განახლების პროცესების მიმართულებათა სიახლოვეს საკვანძო მნიშვნელობა აქვს იმისათვის, რომ გაიზარდოს ორ ქვეყანას შორის ეფექტიანი ურთიერთმოქმედება ეკონომიკურ, მეცნიერულ-ტექნიკურ, კულტურულ და სხვა დარგებში, ფართოდ გამოიყენონ თანამშრომლობის თანამედროვე ინტეგრაციული ფორმები. გამოითქვა რწმენა, რომ ყოველივე ეს, ისევე როგორც ერთიანი მიდგომა ყველა ძირითადი საერთაშორისო პრობლემისადმი, ხელს შეუწყობს საბჭოთა და უნგრელი ხალხების მეგობრობის განმტკიცებას.

განიხილეს ა. თ. დობრინინის ინფორმაცია ჟურნალ „პრობლემი მირა ი სოციალიზმას" მუშაობის შესახებ პრაღაში 12-15 აპრილს გამართული თათბირის შედეგებზე და მოიწონეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის საქმიანობა. გამოითქვა კმაყოფილება იმის გამო, რომ საჯაროობისა და ერთმანეთის პოზიციების პატივისცემის ვითარებაში აზრთა გულახდილი გაზიარების შედეგად შეძლეს კოლექტიურად შეემუშავებინათ კონსტრუქციული მიდგომა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტისადმი, როგორიც არის ჟურნალ „პრობლემი მირა ი სოციალიზმას" საქმიანობის გარდაქმნა, და შესაბამისი ღონისძიებანი ამასთან დაკავშირებით. ასეთი მიდგომა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის აზრით, შეესაბამება დროის სულისკვეთებას, კომუნისტური, მთელი მუშათა და დემოკრატიული მოძრაობის მოთხოვნილებებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე განიხილეს აგრეთვე ქვეყნის სახელმწიფო მშენებლობისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ზოგიერთი სხვა საკითხი.

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

გაიმარჯვა საკავშირო შეჯიბრებაში

საქართველოს მორიგეული შავი ლითონის ხაწარმოო გაერთიანების ხელმძღვანელობამ მოსკოვიდან სასიხარულო ცნობა მიიღო. დეპეშაში, რომელსაც ხელს აწერენ სსრ კავშირის შავი მეტალურგიის მინისტრი და შესაბამისი პროფკავშირის თავმჯდომარე, ნათქვამია, რომ ზემოხსენებულმა გაერთიანების კოლექტივმა მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ერთ-ერთ საუკეთესო შედეგს მიაღწია სოციალისტურ შეჯიბრებაში და მეორე ადგილი დაისაკუთრა.

გაერთიანების კოლექტივის გადაწყვეტილებაა არ შეანელოს სწრაფი ტემპი და ვადამდე შეასრულოს სკკპ XIX კონფერენციის ღირსეული შეხვედრისათვის ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი.

▼ ▼

ვადაზე ადრე

„შახტსამმართველოს" ტყვარჩელის მეორე შახტის კოლექტივმა ვადაზე ადრე გაანაღდა ქვანახშირის მოპოვების მიმდინარე წლის ოთხი თვის დავალება. გეგმით გათვალისწინებული 25.000 ტონის ნაცვლად საპირველმაისოდ მათ უკვე ამოიღეს 26.200 ტონა სათბობი.

მაღალ წარმატებებს აღწევენ გამყვანთა და ქვანახშირის მომპოვებელთა ის ბრიგადები, რომლებსაც ვ. ხინტუბა, ი. კაკუტია, ვ. ხკვერია, ნ. ზაიკინი, ი. კობახია. ხ. კეკუა ხელმძღვანელობენ.

შახტის კოლექტივის გადაწყვეტილებაა თვის ბოლოსათვის გეგმის გადამეტებით კიდევ ამოიღონ 700 ტონა ქვანახშირი.

▼ ▼

160 ათასი გეგმის გადამეტებით

ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათმშენებელმა ქარხანამ ოთხი თვის გეგმა 26 აპრილს შეასრულა. გეგმის გადამეტებით დიდი რაოდენობით გამოუშვა გოფრირებული მილები, თერმოკონტეინერები, მტვერსასრუტები და პლასტმასის ნაკეთობები.

საპირველმაისო ვახტზე

ბათუმური პროდუქცია ჩვენი ქვეყნის ახოხით ბაზასა და სავაჭრო ცენტრში იგზავნება. განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილებაა გოფრირებულ მილებზე. აპრილის მეორე ნახევარში მანქანათმშენებელთა ნაწარმი გაიგზავნა ბულგარეთსა და ავღანეთში.

გეგმის ვადამდე შესრულებისა და მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებაში განსაკუთრებით იჩენენ პლასტმასის ნაკეთობათა იმ უბანმა, რომელსაც სათავეში უდგას ტარიელ კოტია.

პირველ მაისს შრომით ვახტზე მყოფმა ქარხნის კოლექტივმა ივალდებულა საპირველმაისოდ ოთხი თვის გეგმის გადამეტებით 160 ათასი მანეთის პროდუქცია აწარმოოს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა

26 აპრილს კრემლში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ა. ა. გრომიკოს თავმჯდომარეობით გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა.

პრეზიდიუმმა იმსჯელა პალატათა მუდმივი კომისიებისა და დეპუტატთა მიერ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე და მერვე სესიებზე წამოყენებულ წინადადებათა და შენიშვნათა განხილვის შედეგების საკითხზე. მოისმინეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის ი. დ. მასლიუკოვის მოხსენება. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატათა საგეგმო-საბიუჯეტო კომისიების თანამოხსენება გააკეთა ეროვნებათა საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ნ. ი. მასლენიკოვმა.

განხილვაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები: ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ე. სოკოლოვი, საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე ს. ა. შალაევი, აკადემიკოსი ნ. გ. ბასოვი, აგრეთვე ლიტვის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. ს. ასტრაუსკასი.

შემდეგ განიხილეს საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობენ ყაზახეთის სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოები და მათი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოები საცხოვრებელი სახლების მშენებლობასა და სოციალურ-კულტურული სფეროს განვითარებაში ჩამორჩენის დაძლევისათვის. მოხსენება გააკეთა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ნაზარბაევმა. მშენებლობისა და სამშენ მასალათა მრეწველობის კომისიებისა და საბინაო-კომუნალური და საქალაქო მეურნეობის კომისიების სახელით, რომლებიც მონაწილეობდნენ ამ საკითხის მომზადებაში, თანამოხსენება გააკეთა მოსამზადებელი კომისიის ხელმძღვანელმა, სკკპ პენზის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა დეპუტატმა ფ. მ. კულიკოვმა.

კამათში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე, უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. ს. შევჩენკო, პრეზიდიუმის წევრები: საწარმოო სამშენებლო-სამონტაჟო გაერთიანება „ზელენოგრადმშენის" კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი ნ. ა. ზლობინი, ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. ვ. კოლბინი, სსრ კავშირის სახელმწიფო სამშენებლო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლ. ა. ბიბინი.

განხილული საკითხის გამო მიღებული დადგენილებანი გამოქვეყნდება პრესაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა აგრეთვე ქვეყნის სახელმწიფო ცხოვრების ზოგიერთი სხვა საკითხი. დღის წესრიგის საკითხთა განხილვაში მონაწილეობდნენ ამხანაგები პ. ნ. დემიჩევი და ი. თ. სოლოვიოვი.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში, საკავშირო პროფსაბჭოსა და საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

1988 წლის 16 აპრილს გაიმართა ვ. ი. ლენინის დაბადების 118 წლისთავისადმი მიძღვნილი საკავშირო კომუნისტური შაბათობა. მან მკაფიოდ დაადასტურა საბჭოთა ადამიანების პოლიტიკური და შრომითი აქტიურობა, მათი მისწრაფება ღირსეულად შეხვდნენ სკკპ XIX საკავშირო კონფერენციას.

შაბათობაში მონაწილეობდა 157 მილიონზე მეტი კაცი, რომლებიც შრომობდნენ თავიანთ სამუშაო ადგილებზე მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მშენებლობაში, ტრანსპორტზე და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში, აგრეთვე ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობისათვის. შაბათობის მომზადებისა და მოწყობის დროს გამოვლინდა დიდი ორგანიზებულობა და გერგილიანობა. ბევრმა შრომითმა კოლექტივმა, რომლებიც სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პირობებში მუშაობენ, დამოუკიდებლად დასახეს სამუშაოთა მოცულობა, ძირითადი ყურადღება მიაპყრეს სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობისათვის საჭირო პროდუქციის გამოშვებას, ხელშეკრულებების მიხედვით მიწოდების შესრულებას.

თავიანთი დიდნაყოფიერი შრომით შაბათობის მონაწილეებმა ღირსეული წვლილი შეიტანეს მეთორმეტე ხუთწლედის მესამე წლის დავალებათა შესრულებაში. წინასწარი მონაცემებით, მარტო ამ დღეს გამოშვებულია თითქმის 1,4 მილიარდი მანეთის სამრეწველო პროდუქცია. ბევრ შრომით კოლექტივში გამოშვებულია მეტი პროდუქცია, ვიდრე ჩვეულებრივ დღეებში. მისი მნიშვნელოვანი ნაწილი დამზადებულია დაზოგილი ნედლეულითა და მასალებით. შაბათობის მონაწილეებმა გამოიმუშავეს და ხუთწლედის ფონდში მოგების გათვალისწინებით გადარიცხეს 327 მილიონი მანეთი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, საკავშირო პროფსაბჭო და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტი გულითად მადლობას მოახსენებენ ყველას, ვინც აქტიურად მონაწილეობდა საკავშირო კომუნისტურ შაბათობაში — მუშებსა და კოლმეურნეებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს, საბჭოთა არმიისა და ფლოტის მეომრებს, ახალგაზრდობას, ომისა და შრომის ვეტერანებს — მათი თავდადებული, უსასყიდლო შრომისათვის.

საბჭოთა ადამიანების სურვილების, შრომითი კოლექტივებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინადადებების შესაბამისად, შაბათობაზე გამომუშავებული სახსრები მოხმარდება ბავშვის სახლების, საბავშვო სახლებისა და ობოლი და მშობელთა მეურვეობის გარეშე დარჩენილი ბავშვებისათვის სკოლა-ინტერნატების მშენებლობას, ჯანმრთელობის დაცვის სასოფლო და რაიონული დაწესებულებების მატერიალური ბაზის შემდგომ განმტკიცებას, ომისა და შრომის ვეტერანთა სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებას.

საკონფერენციო ვალდებულება

საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის" მაღაროთსამმართველოების კოლექტივებს შორის ფართოდ გაიშალა სამაისო სოციალისტური შეჯიბრება.

შრომით მეტოქეობაში ლიდერობენ დიმიტროვის სახელობის მაღაროთსამმართველოს ღია კარიერების მაღაროელები. ისინი ყოველდღიურად იღებენ და გზავნიან 20.700 ტონა მადანს. ეს დაგეგმილთან შედარებით თითქმის ექვსი პროცენტით მეტია.

კარიერის კოლექტივმა იკისრა ვალდებულება XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის გახსნის დღისათვის უპატაკოს ხუთწლედის მესამე წლის ექვსი თვის დავალებათა შესრულება.

სურათზე: ღია კარიერის უფროსი ა. დარბაიძე დავალებას აძლევს მექანიზატორებს ბ. ბუზალაძეს, ვ. ტყემალაძეს, კ. სამხარაძესა და ნ. თოდაძეს.

საქინფორმის ფოტო.

პასუხისმგებლობის დეფიციტი

დაახლოებით ასი მილიონი მანეთი დააკლდა რესპუბლიკის ბანკების სალაროთა შემოსავალს მიმდინარე წლის პირველ კვარტალში საკასო გეგმის ჩაშლის შედეგად. ამ მოცულობის მნიშვნელოვანი ნაწილი — დაახლოებით 40 პროცენტი — თბილისის წილად მოდის.

რესპუბლიკის დედაქალაქში შექმნილი მძიმე ვითარების მიზეზების ანალიზსა და უსწრაფესი ლიკვიდაციის ღონისძიებათა განსაზღვრას მიეძღვნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართული თათბირი.

ინფორმაცია გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ეკონომიკის განყოფილების გამგემ ლ. ი. ხაბურზანიამ.

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა.

თბილისში საკასო გეგმის შესრულებას შეეძლო არსებითად სტაბილური გაეხადა მთელი რესპუბლიკის ფულის მიმოქცევის სისტემა. ამის საჭირო წანამძღვრები აქ არის. კერძოდ, სწორედ თბილისშია თავმოყრილი მსხვილი სავაჭრო-სანახაობითი საწარმოებისა და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მნიშვნელოვანი ნაწილი. მაგრამ საცალო საქონელბრუნვის გეგმა საქალაქო ვაჭრობამ მხოლოდ 93,3 პროცენტით შეასრულა. მან თავი ვერ გაართვა ქალაქის ათი რაიონიდან ცხრამ.

თათბირზე პრინციპულად დაისვა საკითხი: რას აკეთებენ ვაჭრობის ხელმძღვანელები, და ყველა რანგის სხვა ხელმძღვანელი მუშაკებიც, რომლებიც პასუხს აგებენ ეკონომიკის ამ მნიშვნელოვან სფეროში შექმნილი მდგომარეობისათვის? მათ საქვეუწყებო ობიექტებში — მაღაზიებში, საზოგადოებრივი კვების საწარმოებში, ბაზებში ხომ დღემდე არ დაუმყარებიათ ელემენტარული წესრიგი. ქვლავინდებურად ხშირია უხარისხო ან აშკარად წუნიანი პროდუქციის შეტანის შემთხვევები. არ აღმოფხვრილა მრეწველობასთან დანაშაულებრივი გარიგების ფაქტები, რის შედეგადაც საღდება ეგრეთ წოდებული „მარცხენა" პროდუქცია. ბუნებრივია, რომ ასეთი „დატვირთვის" პირობებში არ რჩება დრო სახელმწიფო დავალებათა შესრულებისათვის.

მაშ, რით უნდა აიხსნას საბურთალოს რაივაჭრობის პოზიცია, თუ არა უგერგილობით, თავისი პირდაპირი მოვალეობების უგულებელყოფით, რომელმაც გეგმის შესრულებას სამი პროცენტი დააკლო? ცხადია, მის ხელმძღვანელებს დაინტერესება, კომპეტენტურობა რომ გამოეჩინათ, რაიონი არ მოხვდებოდა ჩამორჩენილთა შორის, ამისათვის საკმარისი იყო უნარიანად გამოეყენებინათ რეზერვები, რომლებიც მუდამ არის ყოველ სავაჭრო ობიექტში. ამასთან დაკავშირებით იბადება კითხვა: საერთოდ, როგორია ვაჭრობის სამმართველოების როლი ვაჭრობის სისტემაში? როგორც ჩანს, დროა გადაისინჯოს მისი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში შეჯამდა თბილისში კვარტალური საკასო გეგმის შესრულების შედეგები

სტრუქტურა და გაირკვეს, თუ რამდენად საჭიროა ისინი მეურნეობრიობის ახალ პირობებში.

დაახლოებით ექვს მილიონ მანეთს შეადგენს „თბილისტანსაცმელვაჭრობის" ჩამორჩენა საკასო გეგმის შესრულებაში. ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელობა იმიზეზებს დიდი ზენორმატიული ნაშთების არსებობას, იმას, რომ მრეწველობა რიტმულად არ აწვდის საქონელს.

სწორედ ასეთ სიტუაციებში უნდა თქვან კიდეც თავიანთი სიტყვა საქალაქო საბჭოს აღმასკომის, ქალაქის რაიაღმასკომების შესაბამისი ქვეგანაყოფების მუშაკებმა.

შეშფოთებას იწვევს ისიც, რომ საკასო გეგმას ქრონიკულად ვერ ასრულებენ თბილისის სანახაობითი საწარმოები. განა შეიძლება დაიჯერო „უკმარამონაგების" ამბავი, როცა კინოთეატრებში მოხვედრის მსურველთა რიგებს უყურებ, ანდა იცი, რაოდენ ძნელია ზოგჯერ ბილეთის შოვნა ამა თუ იმ სპექტაკლზე? ნდობას არ იწვევს წუწუნიც, თითქოს ცარიელი იყოს მრავალი ატრაქციონი. და ეს მარტო ვარაუდი როდია. სანახაობით ობიექტებში დასწრების არაერთგზის მოწყობილი ქრონომეტრაჟის შედეგად სამოთხჯერ მომეტებულა ფულადი შემოსავალი. ამგვარი ექსპერიმენტები ასეთივე შედეგებით მოეწყო საზოგადოებრივი კვების ობიექტებში, რომლებიც გეგმას ვერ ასრულებენ.

დაგეგმილი ფულადი სახსრები დააკლეს გეგმას აგრეთვე რესპუბლიკის დედაქალაქის საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და სატრანსპორტო საწარმოებმა.

რესპუბლიკის დედაქალაქის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს ზოგიერთმა ორგანიზაციამ, მაგალითად, საერთოდ საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის გეგმის შესრულების მიუხედავად თავი ვერ გაართვა უშუალოდ მოსახლეობისათვის გაწეული მომსახურების გეგმას. ესე იგი, გეგმის შესრულება უზრუნველყოფილია უნაღდო ანგარიშით საწარმოებისათვის მომსახურების გაწევის ხარჯზე.

საკასო გეგმის ჩაშლაში თავიანთი „წვლილი" შეიტანეს თბილისის კოოპერატივებმა. წლის პირველ კვარტალში მათ მიიღეს 2,5 მილიონი მანეთი ბანკის სესხი, შეიტანეს კი მხოლოდ 860 ათასი.

რესპუბლიკურმა ბანკებმა საკასო გეგმის შესრულების საკითხში უნდა დაიკავონ უფრო აქტიური, შეტევითი პოზიცია. კი არ უნდა შემოიფარგლონ ფაქტების კონსტატაციით, რაც დღეისათვის ხდება, პირიქით, უნდა განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი.

ხელფასის დროული გაცემა ბანკების პირველი და უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა. მისი დაგვიანება სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს ხოლმე. ამავე დროს ხელფასის გაცემის დაგვიანების შემთხვევები კვლავ არის და ეს, უწინარეს ყოვლისა, დაკავშირებულია საკასო გეგმის შეუსრულებლობასთან.

თათბირზე წუხილით აღინიშნა, რომ ვითარება აპრილშიც არ სწორდება. თვის დამდეგიდან განვლილ ოც დღეში თბილისის ბანკების სალაროებში კვლავ დაგეგმილზე 17,2 მილიონი მანეთით ნაკლები ფული შევიდა. თანაც ამ თანხიდან 16,6 მილიონი მანეთი ვაჭრობის ამონაგებია.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართულ თათბირზე განიხილეს აგრეთვე რესპუბლიკაში სადღესასწაულო ვაჭრობის მიმდინარეობა. ამ მაისწინა დღეებში სასურსათო პროდუქტებით სავაჭრო ქსელი მარაგდება შეტანის სპეციალური გრაფიკით. ხორცი და ძეხვეული, ფრინველი, კვერცხი შარშანდელზე მეტი გაიყიდება.

მომხმარებლებს შესთავაზებენ უალკოჰოლო გამაგრილებელი სასმელების, წვენების მდიდარ ასორტიმენტს, საკონდიტრო ნაწარმს. პრაქტიკულად შეუზღუდავად და ფართო არჩევანით მოეწყობა რძის პროდუქტების ვაჭრობა.

თათბირზე ვაჭრობის სამინისტროს ხელმძღვანელობის ყურადღება მიაპყრეს იმას, რომ საჭიროა გააქტიუროს საზოგადოებრივი კვების ობიექტების მუშაობა. მათ უნდა გაყიდონ საკუთარი წარმოების ნაწარმი. საჭიროა გააკონტროლონ, რომ ყველა სასურსათო პროდუქტი მაღალი ხარისხისა იყოს.

სადღესასწაულო ვაჭრობაში ჩაერთვებიან აგრეთვე კოოპერაციული ორგანიზაციები, აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოები. ისინი თბილისელებს, რესპუბლიკის სხვა ქალაქების მცხოვრებლებს მიაწვდიან ხილს, ბოსტნეულს და სხვადასხვაგვარ კონსერვებს.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ ამხანაგები ვ. ი. ალავიძე, ბ. ვ. ნიკოლსკი, ნ. ა. ჩიტანავა და გ. გ. გუმბარიძე.

(საქინფორმი).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინა სამუშაო დღედ ჩაითვალოს 1988 წლის 7 მაისი.

7 მაისს მუშაობისათვის მუშა-მოსამსახურეებს მიეცემათ სხვა დასვენების დღე ან აუნაზღაურდებათ იმ წესითა და პირობებით, რომლებსაც კანონმდებლობა ითვალისწინებს. თუ მუშაკს სურს, შეუძლია ეს დღე ყოველწლიურ შვებულებას მიუმატოს ისეთივე ანაზღაურებით, როგორც შვებულების დღეების ანაზღაურება ხდება.

საქართველოს სსრ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის ცნობა

გარდაქმნისა და განახლების კურსით

საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1988 წლის პირველი კვარტალის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

I. სახალხო მეურნეობის განვითარების საერთო-ეკონომიკური მაჩვენებლები

რესპუბლიკის მშრომელებმა 1988 წლის დამდეგიდან უზრუნველყვეს საზოგადოებრივი წარმოებისა და მისი ეფექტიანობის შემდგომი ზრდა, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება.

სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის ძალაში შესვლამ, ბევრი მათგანის სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადასვლამ შექმნა დამოუკიდებლობის გაფართოებისა და მათი საქმიანობის შედეგებისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების პირობები, გააქტიურა შრომითი კოლექტივების მუშაობა.

რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1988 წლის პირველი კვარტალის ძირითად მაჩვენებლებს ახასიათებს შემდეგი მონაცემები (მატება პროცენტობით):

	1988 წლის I კვარტალი 1987 წლის I კვარტალის ფაქტობრივ დონესთან შედარებით
წარმოებული ეროვნული შემოსავალი	3,2
მრეწველობის პროდუქცია	3,8
ამოქმედდება სახელმწიფო ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა და საწარმოებისა და ორგანიზაციების ფონდების ხარჯზე:	
ძირითადი ფონდები	5,0
საცხოვრებელი სახლები	7,0
სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებანი ცენტრალიზებული და საწარმოებისა და ორგანიზაციების ფონდების სახსრების ხარჯზე	7,8
საერთო სარგებლობის ყველა სახეობის ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვის მოცულობა	0,7
საერთო სარგებლობის ყველა სახეობის ტრანსპორტის მგზავრთბრუნვა	0,3
შრომის ნაყოფიერება:	
მრეწველობაში	4,9
მშენებლობაში	3,9
რკინიგზის ტრანსპორტზე	6,4
მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი	0,3
ხელფასის ფონდი სახალხო მეურნეობაში	3,4
მუშა-მოსამსახურეთა საშუალო ფულადი ხელფასი	3,0
კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება	3,8
მოსახლეობისადმი მისაცემლები და შეღავათები მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან	6,9
სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა (ფაქტობრივი ფასებით)	5,0
მოსახლეობის ფასიანი მომსახურება	12,7
მოგება სახალხო მეურნეობაში	22,4

საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება შარშანდელ პირველ კვარტალთან შედარებით 3,7 პროცენტით გაიზარდა, ამ საფუძველზე უზრუნველყოფილია წარმოებული ეროვნული შემოსავლის მთელი მატება.

მრეწველობის პროდუქცია გაიზარდა 94 მილიონი მანეთით.

სახელმწიფო ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა და საწარმოებისა და ორგანიზაციების ფონდების სახსრების ხარჯზე ამოქმედდა 8 მილიონი მანეთით მეტი ძირითადი ფონდები.

ამავე დროს მთელი რიგი მაჩვენებლების მიხედვით დაშვებულია ჩამორჩენა საგეგმო დავალებათა რეალიზაციაში. ჯერ კიდევ ირღვევა სახელშეკრულებო ვალდებულებანი მრეწველობის პროდუქციის მიწოდების შესახებ. ბევრი სახეობის პროდუქციის მიხედვით სახელმწიფო შეკვეთა არ შეუსრულებია მანქანათსამშენებლო კომპლექსს. დასახულზე ნაკლებია გამოშვებული ზოგიერთი სახალხო მოხმარების საქონელი. ზოგ რეგიონში შემცირდა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება და შესყიდვა. მთლიანად არ შესრულებულა საქონელბრუნვის დავალება.

II. საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაცია

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი. მოქმედ საწარმოთა ტექნიკურ განახლებასა და რეკონსტრუქციას მოხმარდა 56,2 მილიონი მანეთი. ამ მიზნებისათვის კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობიდან ნახევარზე მეტი საწარმოებისა და ორგანიზაციების საკუთარმა სახსრებმა შეადგინა.

(გაგრძელება მე-2 გვ.).

გარდაქმნისა და განახლების კურსით

(გაგრძელება)

მრეწველობაში დაიდგა 11 მექანიზებული ნაკადური და ავტომატური ხაზი, 8 რიცხვითი პროგრამული მართვის ლითონსაჭრელი ჩარხი. კომპლექსურ მექანიზაციასა და ავტომატიზაციაზე გადაყვანილია 14 უბანი და საამქრო.

მთელ რიგ წარმოებათა ტექნიკური დონის მაჩვენებლებს ახასიათებს შემდეგი მონაცემები (პროცენტობით):

	I კვარტალი	
	1987 წ.	1988 წ.
სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსი		
ნავთობის მოპოვების ხვედრითი წილი ავტომატიზებულ სარეწებში	94,6	93,7
ქვანახშირის მოპოვების ხვედრითი წილი მექანიზებული კომპლექსებით აღჭურვილ შახტებში	4,7	5,1
მეტალურგიული კომპლექსი		
უწყვეტი ჩამოსხმის გამოყენებით ფოლადის ხვედრითი წილი	9,6	9,2
გადიდებული შემცველობის ყანგბადით ბერვის გამოყენებით გამოდნობილი თუჯის ხვედრითი წილი	83,7	100,0
ქიმიურ-სატყეო კომპლექსი		
სინთეზური ბოჭკოებისა და ძაფების ხვედრითი წილი ქიმიური ბოჭკოებისა და ძაფების წარმოების საერთო მოცულობაში	73,9	75,5
სამშენებლო კომპლექსი		
ქვანახშირმოპოვების ნარჩენების გამოყენებით ენერგოდამზოგავი ტექნოლოგიით მიღებული კლინკერიდან ცემენტის წარმოების ხვედრითი წილი ცემენტის წარმოების საერთო მოცულობაში	—	32,4

ათვისებულია და დაიწყო 19 ახალი სახეობის სამრეწველო პროდუქციის წარმოება.

1988 წლის პირველ კვარტალში მრეწველობის პროდუქციის განახლების დონემ რესპუბლიკის მანქანათსაშენებელ კომპლექსში 7,4 პროცენტი შეადგინა.

ამ სახალხო-სამეურნეო კომპლექსის ცალკეულ საწარმოებსა და გაერთიანებებში მანქანათსაშენებელი პროდუქციის განახლების გეგმის შესრულებას ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

	1988 წლის I კვარტალი	
	გეგმა	დაქტიურად
სსრ კავშირის მძიმე, ენერგეტიკული და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სამინისტრო		
ახალქალაქის კიდური საბაგირო გზების მოწყობილობის ქარხანა	96,4	96,5
სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტრო		
ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხანა	63,4	63,4
საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატი"	3,7	3,8
საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებელი"	19,5	7,9
სსრ კავშირის ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის სამინისტრო		
თბილისის საინსტრუმენტო ქარხანა	7,6	10,3
სსრ კავშირის ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემათა სამინისტრო		
სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვა"	1,0	1,0
საწარმოო გაერთიანება „ორგტექნიკა"	6,8	6,8
სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ანალიზელსაწყო"	5,5	6,0
საწარმოო გაერთიანება „დილა"	5,6	6,5
სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ავტომატმრეწვი"	100,0	100,0
სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტრო		
სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქსოფლმანქანა"	7,3	15,6

მსოფლიო ტექნიკური დონის შესაბამისი უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის ხვედრითმა წილმა მანქანების, მოწყობილობების, ხელსაწყოების წარმოების მოცულობაში 32,6 პროცენტი შეადგინა.

იზრდება ლითონსაჭრელი ჩარხების გამოშვება.

იზრდება რიცხვული პროგრამული მართვის ლითონსაჭრელი ჩარხების, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების კაზ-4540 თვითსაცლელი ავტომობილების და სხვა პროგრესული ტექნიკის გამოშვება.

მაგრამ მანქანათსაშენებელი კომპლექსის საწარმოებმა ვერ შეასრულეს პროდუქციის განახლების გეგმა. 1988 წლის 1 კვარტალში მათ სულ შესრულების დააკლეს 2,4 მილიონ მანეთისაზე მეტი ახალი პროდუქცია.

„საქართველო: მეცნიერება, ტექნიკა, ხარისხი-90" კომპლექსური პროგრამის რეალიზაციის დროს რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებებმა დაიწყეს და საერთოდ წარმატებით ასრულებენ 35 საერთო-საკავშირო და 24 რესპუბლიკური სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამის დავალებებს შესაბამისად 62 და 324 ეტაპის მიხედვით.

კვლავ ჩამორჩება სამეცნიერო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციების საცდელ-ექსპერიმენტული ბაზის განვითარება. ამ ობიექტების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის დარგში სახელმწიფო შეკვეთა მთლიანად ვერ სრულდება.

პროდუქციის ხარისხი. 1988 წლის იანვრიდან მრეწველობის გაერთიანებათა და საწარმოთა წრე, სადაც დაწესებულია პროდუქციის სახელმწიფო მიღება, 32-მდე გაფართოდა. მარტში სახელმწიფო მიღებამ პირველი წარდგენით არ მიიღო პროდუქციის 10,6 პროცენტი, რომლის თანხა 13 მილიონ მანეთია; წლის დამდეგიდან განვლილ პერიოდში საბოლოოდ დაწუნებულია 267 ათასი მანეთის პროდუქცია. პირველი წარდგენით მიუღებელი პროდუქციის

განსაკუთრებით დიდი ხვედრითი წილია სსრ კავშირის ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემების სამინისტროს სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვაში", სსრ კავშირის ჩარხშენებლობისა და საინსტრუმენტო მრეწველობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანება „ჩარხშენებელში" და სსრ კავშირის საავტომობილო მრეწველობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანება „ქუთაისის ავტოკარხანაში".

საწარმოო პოტენციალის გამოყენება. გამოკვლევის მონაცემების მიხედვით მუშაობის მრავალცვლიანი რეჟიმით მომუშავე საამქროებში მუშათა რიცხვი გაიზარდა 9,9 ათასით, ანუ 7,7 პროცენტით. გამოთავისუფლებულია 2,2 ათას ერთეულზე მეტი მოწყობილობა, 15,5 ათასი კვადრატული მეტრი საწარმოო ფართობი, რომელთაგან დაახლოებით ორი მესამედი გამოყენებულია პროგრესული მოწყობილობის განლაგებისათვის, მეზობელზე მეტი — შრომის პირობების გაუმჯობესებისა და სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების ორგანიზაციისათვის.

მთლიანად მუშაობის მრავალცვლიან რეჟიმზე საწარმოთა გადაყვანისთვის მუშაობა ნელა მიმდინარეობს. არ არის მიღწეული ძირეული გარდატეხა მოწყობილობის გამოყენებაში, კვლავ დაბალია მისი მუშაობის ცვლიანობის კოეფიციენტი, დიდი მოცდენები.

კვლავ სერიოზული ნაკლოვანებანია ახლად ამოქმედებული და რეკონსტრუირებული სიმძლავრეების ათვისებაში.

რესურსდაზოგვა. სახალხო მეურნეობაში დაიზოგა 38,5 ათასი ტონა პირობითი სათბობი, 5,4 ათასი ტონა შავი ლითონების ნაგლინი, 102,7 ათასი გიგაკალორია თბოენერგია, 92,2 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია, 3,2 ათასი ტონა დიზელის სათბობი, 2,7 ათასი ტონა ავტობენზინი, 14,3 ათასი ტონა ცემენტი, 19,8 ათასი კუბური მეტრი ხე-ტყის მასალები.

შრომითი რესურსების გამოყენება. სახალხო მეურნეობაში დასაქმებულია 2376 ათასი მუშა, მოსამსახურე და კოლმეურნე (გასული წლის პირველ კვარტალში — 2359 ათასი კაცი). საწარმოო დარგებში დაჩქარდა მუშახელის რეალური გამოთავისუფლების პროცესი.

გამოთავისუფლებული მუშაკები სამუშაოზე ეწყობიან სხვა ორგანიზაციებსა და დარგებში, მათ შორის მოსახლეობის მომსახურების სფეროში, ხოლაც გაიგზავნა მუშახელის თითქმის მთელი მატება.

ამჟამად აღესტაცია გაიარა ყველა სამუშაო ადგილის 49 პროცენტმა. მაგრამ განხორციელებული მუშაობის შედეგების მიხედვით დასახული ღონისძიებანი ნელა სრულდება: ყოველწლიურად რაციონალიზებული ხდება მხოლოდ ყოველი ოცდამესამე სამუშაო ადგილი; უქმდება როგორც თანამედროვე მოთხოვნებისათვის შეუსაბამო — ერთ პროცენტზე ნაკლები.

ხელის შრომის გამოყენების შემცირების დავალებანი მთლიანად სრულდება. მაგრამ, შესამჩნევად ჩამორჩება დასახულ ტემპს შრომის მექანიზაცია ხე-ტყის მრეწველობის სამინისტროს, საავტომობილო გზების სამინისტროსა და საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს საწარმოებსა და ორგანიზაციებში.

კოოპერატივებში პირველ კვარტალში მუშაობდა 10,2 ათასი კაცი (გასული წლის პირველ კვარტალში — 224 კაცი). ინდივიდუალურ შრომითს საქმიანობას ეწეოდა 13,5 ათასი მოქალაქე.

მართვისა და სამეურნეო მექანიზმის სრულყოფა. 1988 წლის 1 იანვრიდან სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პირობებში მუშაობდა 1011 გაერთიანება, საწარმოო და ორგანიზაცია, რომლებშიც დასაქმებულია 471 ათასი კაცი. მათ წილად მოდის სამრეწველო წარმოების 47 პროცენტზე მეტი, კავშირგაბმულობის საწარმოთა მომსახურების 100 პროცენტი, საცალო საქონელბრუნვის 90 პროცენტი. თვითდაფინანსების პირობებში წელს თავის საქმიანობას ახორციელებს საერთო სარგებლობის ტრანსპორტის ყველა საწარმო.

პირველ კვარტალში სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პირობებში მომუშავე მრეწველობის გაერთიანებებსა და საწარმოებში პროდუქციის მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებამ შეადგინა 99,1 პროცენტი, შრომის ნაყოფიერების მატებამ — 10,2 პროცენტი.

ამავე დროს ახალი სამეურნეო მექანიზმის შესაძლებლობანი ჯერ კიდევ საკმაოდ სრულად არ გამოიყენება. არის ფაქტები, როცა დავალებები გაიცემა სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის დარღვევით, შრომითი კოლექტივების აზრის გაუთვალისწინებლად, სარსერსრო ბაზისთან და საწარმოო სიმძლავრეებთან ჯეროვანი კავშირის გარეშე. საწარმოთა ინიციატივას ბოჭავს ნაკლოვანებანი მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფაში. მრავალი სამინისტრო ჯეროვან პრაქტიკულ დახმარებას არ უწევს საწარმოებს ახალ პირობებში მუშაობაში, შიდასაწარმოო სამეურნეო ანგარიშის დანერგვის საქმეში. სამეურნეო ანგარიშის მოთხოვნებისადმი მოუმზადებელი აღმოჩნდნენ მრავალი საწარმოს კადრები.

III. მატერიალური წარმოების განვითარება

მრეწველობა

პირველ კვარტალში მიღწეულია სახელმწიფო შეკვეთის შესაბამისად და მომხმარებლებთან ხელშეკრულებათა საფუძველზე პირდაპირი კავშირით პროდუქციის მიწოდების **სახელშეკრულებო ვალდებულებათა** შესრულების გაუმჯობესება. ვალდებულებანი შესრულდა 99,2 პროცენტით 1987 წლის პირველ კვარტალში 98,5 პროცენტთან და მთლიანად გასულ წელს 98,2 პროცენტთან შედარებით. სახელშეკრულებო დისციპლინა დაარღვია საწარმოთა და გაერთიანებათა 11 პროცენტმა (1987 წლის პირველ კვარტალში — 11 პროცენტმა, 1987 წელს — 17 პროცენტმა). მომხმარებლებს დააკლდა 18,8 მილიონი მანეთის პროდუქცია (1987 წლის პირველ კვარტალში — 33,5 მილიონი მანეთისა).

სამრეწველო პროდუქციის წარმოება გაიზარდა 3,8 პროცენტით. **შრომის ნაყოფიერების** მატებამ შეადგინა 4,9 პროცენტი. პროდუქციის მთელი მატება უზრუნველყოფილია შრომის ნაყოფიერების გადიდების ხარჯზე მუშაკთა რიცხვის აბსოლუტური შემცირების პირობებში.

გაიზარდა მოგება. მაგრამ მოგების გეგმა არ შესრულებულა როგორც მთლიანად დარგში, ისე მეტ წილ კომპლექსებშიც, გარდა მეტალურგიული, აგროსამრეწველო და სოციალურისა (მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო).

რესპუბლიკის სახალხო-სამეურნეო **კომპლექსებში, სამინისტროებში, უწყებებში,** საკავშირო დაქვემდებარების სამრეწველო და ორგანიზაციებში საქმიანობის მაჩვენებლებს 1988 წლის პირველ კვარტალში ახასიათებს შემდეგი მონაცემები (პროცენტობით):

	პროდუქციის მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება	საწარმოთა წილი, რომლებმაც ვერ შეასრულეს სახელშეკრულებო ვალდებულებანი	მატების ტემპი 1987 წლის I კვარტალთან შედარ.	
			შრომის ნაყოფიერება	პროდუქციის (სამუშაოთა, მომსახურების) მოცულობა
სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსი				
სსრ კავშირის მძიმე, ენერგეტიკისა და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სამინისტრო	99,7	12,5	—7,6	—7,3
სსრ კავშირის ნავთობის მრეწველობის სამინისტრო	100	—	—1,9	—0,6
სსრ კავშირის გაზის მრეწველობის სამინისტრო	100	—	11,0	11,6
სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტრო	99,5	100	3,3	—2,0
მეტალურგიული კომპლექსი				
სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტრო	100	—	4,8	1,2
სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიის სამინისტრო	100	—	4,8	1,3
მანქანათსაშენებელი კომპლექსი				
სსრ კავშირის მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტრო	99,1	25,0	11,8	10,5
სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტრო	100	—	—0,7	7,8
სსრ კავშირის ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის სამინისტრო	98,4	36,4	7,3	8,1
სსრ კავშირის ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტრო	99,9	28,6	3,8	5,4
სსრ კავშირის საავტომობილო მრეწველობის სამინისტრო	99,9	14,3	17,1	19,0
სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტრო	99,3	100	26,1	11,5
სსრ კავშირის სამშენებლო, საგზაო და კომუნალური მანქანათმშენებლობის სამინისტრო	98,6	20,0	—4,3	21,7
	100	—	9,0	10,7
ქიმიურ-სატყეო კომპლექსი				
სსრ კავშირის ნავთობგადამამუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის სამინისტრო	99,4	17,9	2,0	1,2
სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტრო	97,9	33,3	—29,8	—17,1
სსრ კავშირის მინერალური სასუქების წარმოების სამინისტრო	99,7	33,3	6,9	6,2
სსრ კავშირის სამედიცინო და მიკრობიოლოგიური მრეწველობის სამინისტრო	100	—	13,0	9,3
სსრ კავშირის ხე-ტყისა და ქაღალდის მრეწველობის სამინისტრო	100	—	5,8	5,6
საქართველოს სსრ ხე-ტყის მრეწველობის სამინისტრო	100	—	7,5	7,2
	99,2	26,7	3,5	4,3
აგროსამრეწველო კომპლექსი				
სსრ კავშირის სახაგრომრეწვი	99,5	13,5	2,1	0,6
საქართველოს სსრ სახაგრომრეწვი	99,5	9,1	2,2	4,1
	99,3	8,6	—2,1	—3,6
სსრ კავშირის თევზის მეურნეობის სამინისტრო	100	—	2,0-ჯერ	1,9-ჯერ
„საკავშირეურნეობის" სამმართველო	100	—	0,8	3,1
სსრ კავშირის პუპროდუქტების სამინისტრო	100	—	5,1	1,7
საქართველოს სსრ პუპროდუქტების სამინისტრო	100	—	—2,0	—3,8
სოციალური კომპლექსი				
სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო	100	—	4,3	7,5
საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო	98,9	21,1	9,5	9,2
სამშენებლო კომპლექსი	95,8	12,7	—3,7	—1,7
სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო	100	—	—33,2	—33,7
საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო	94,1	15,2	—0,5	—2,4
საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო	97,8	10,8	—3,2	—0,8

* * *

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო	98,1	28,6	7,8	9,2

მონაცემები 1988 წლის პირველ კვარტალში **ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქებში, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებში** მრეწველობის მუშაობის შესახებ მოგვაყვანს ქვემოთ (პროცენტობით):

	პროდუქციის მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება	საწარმოთა წილი, რომლებმაც ვერ შეასრულეს სახელშეკრულებო ვალდებულებანი	მატების ტემპი I კვარტალთან შედარ.	
			შრომის ნაყოფიერება	პროდუქციის (სამუშაოთა, მომსახურების) მოცულობა
აფხაზეთის ასსრ	99,6	2,4	—2,8	—5,1
აჭარის ასსრ	99,1	6,9	—1,1	—
სამხრეთ ოსეთის აო	99,8	9,5	1,4	2,8
ქალაქები:				
თბილისი	99,8	6,9	6,8	5,8
სოხუმი	99,3	4,5	—3,4	—6,3
ბათუმი	99,0	10,0	—1,5	—0,7
ცხინვალი	99,8	6,7	1,6	2,6
ქუთაისი	99,5	13,5	12,2	8,5
რუსთავი	99,97	7,7	8,4	6,4
ფოთი	100,0	—	19,9	19,2
გორი	98,8	16,7	9,1	12,5
ზუგდიდი	99,9	5,9	—	0,7
ჭიათურა	100,0	—	11,5	11,5
ტყიბული	100,0	—	—9,2	—10,7
გაგრა	100,0	—	—6,7	—13,1
წყალტუბო	100,0	—	6,7	6,8
ტყვარჩელი	98,6	20,0	8,1	5,8
მარნეული	100,0	—	4,5	6,0

1988 წლის პირველ კვარტალში სახალხო-სამეურნეო კომპლექსების მუშაობა ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსი

ელექტროენერგია წარმოებამ შეადგინა 3,4 მილიარდი კილოვატსაათი. დადგენილ დავალებათა გადაჭარბებით მოპოვებულია 15,5 ათასი ტონა ნავთობი, 6,2 მილიონი კუბური მეტრი გაზი. შესრულდა ქვანახშირის მოპოვების დავალება. ამავე დროს სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანება „საქქვანახშირმა" თავი ვერ გაართვა სახელშეკრულებო ვალდებულებებს, რამაც განაპირობა საერთოდ კომპლექსში 121 ათასი მანეთის პროდუქციის უკმარმოწოდება.

მეტალურგიული კომპლექსი

ფოლადის მილები, ათასი ტონა	125	100,5	99,9
მანგანუმის მადანი, ათასი ტონა	463	100,7	92

კომპლექსის საწარმოებმა შეასრულეს სახელშეკრულებო ვალდებულებანი. შესრულდა მზა ნაგლინისა და ფოლადის მილების გამომშვების სახელმწიფო შეკვეთა. მაგრამ დავალებით გათვალისწინებულზე ნაკლებია ნაწარმოები ისეთ დიდფუძტიან სახეობათა ლითონპროდუქციები, როგორიც არის დაბალლეგირებული და კონსტრუქციული ლეგირებული ფოლადის ნაგლინი, სატუმბ-საკომპრესორო ზემტკაცე მილები და მთელი რიგი სხვა პროდუქცია.

ფერადი მეტალურგიის საწარმოებმა შეასრულეს სახელმწიფო შეკვეთის ძირითად სახეობათა პროდუქციის დავალებანი.

მანქანათსაშენებელი კომპლექსი

დიდი ელექტრომანქანები, ათასი ცალი	2,8	102	119
ცვლადი დენის ელექტროძრავები, ათასი კილოვატი	31,9	99,7	115
ლითონსაჭრელი ჩარხები, მილიონი მანეთის	9,4	104	126
მათ შორის რიცხვულ-პროგრამული მართვის ხელსაწყოები	2,1	112	166
ელექტრონული ავტომატიზაციის საშუალებანი და მათი სათადარიგო ნაწილები, მილიონი მანეთისა	13,5	100,8	118
გამოთვლითი ტექნიკის საშუალებანი და მათი სათადარიგო ნაწილები, მილიონი მანეთისა	11,7	100,8	133
ავტომობილები, რძისა და თევზის მრეწველობის ტექნიკური მოწყობილობა და მისი სათადარიგო ნაწილები, მილიონი მანეთისა	8,8	95	102
სასოფლო-სამეურნეო მანქანები, მილიონი მანეთისა	1,5	87	56

რამდენადმე გაუმჯობესდა მანქანათსაშენებელი კომპლექსის მუშაობა — ამჟამად სახელშეკრულებო დისციპლინის დონე, გასული წლის პირველ კვარტალთან შედარებით მნიშვნელოვნად გაუზარდა ლითონდამამუშავებელი მოწყობილობის, გამოთვლითი ტექნიკის, მთელი რიგი სხვა პროდუქციის გამოშვება.

ამავე დროს მრავალი პოზიციის მიხედვით სახელმწიფო შეკვეთის დავალებანი არ შესრულებულა, საერთოდ კომპლექსში დაკლებული პროდუქციის მოცულობამ შეადგინა 1,9 მილიონი მანეთი.

არ შესრულებულა ცვლადი დენის ელექტროძრავების, ავტომობილების, რძისა და თევზის მრეწველობის ტექნიკური მოწყობილობისა და მისი სათადარიგო ნაწილების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოების დავალებანი.

კომპლექსის საწარმოებში ყველაზე მეტი პროდუქცია დააკლეს შემკვეთმა სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანებებმა, „საქელექტრომანქანამ" (სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებამ შეადგინა 96,3 პროცენტი) „ელმავალმშენებელმა" (97,0 პროცენტი), „ელექტროაპარატმა" (97,5 პროცენტი) და სსრ კავშირის სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქსოფლმანქანამ" (96,3 პროცენტი).

მანქანათმშენებლობის საწარმოებმა დროულად ვერ უზრუნველყვეს მაკომპლექტებელი ნაწარმის ურთიერთმიწოდება. ცალკეულ სახეობათა პროდუქციის გამოშვების თვის მოცულობის დაახლოებით 40 პროცენტი მოდიოდა თვის ბოლო კვირაზე.

ქიმიურ-სატყეო კომპლექსი

მინერალური სასუქები (მასაზრდოებელ ნივთიერებათა 100 %-ზე გადაანგარიშებით), ათასი ტონა	41,2	102	103
ქიმიური ბოჭკოები და ძაფი, ათასი ტონა	9,7	102	108
სინთეზური ფისი და პლასტიკური მასები (კაპროლაქტამი), ათასი ტონა	10	97	117
სამასალე მერქნის (კოლმეურნეობების მიერ ხე-ტყის დამზადების გარდა), ათასი ფესტმეტრი	23,2	100,9	102
ქაღალდი, ათასი ტონა	7,1	100,4	102

გაიზარდა მინერალური სასუქების, ქიმიური ბოჭკოებისა და ძაფების, ქაღალდის, სამასალე მერქნის გამოშვება.

ამავე დროს კომპლექსის მუშაობის შედეგებზე გავლენა იქონია ცალკეულ საწარმოთა საქმიანობაში არსებულმა ნაკლოვანებებმა. მაგალითად, სსრ კავშირის მინერალური სასუქების მრეწველობის სამინისტროს რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტის" ჩამორჩენამ დაბაირობა ის, რომ ვერ შესრულდა სინთეზური ფისებისა და პლასტიკური მასების (კაპროლაქტამი) აგრეთვე სინთეზური ამიაკის გამოშვების კვარტალის დავალებანი.

არასტაბილური მუშაობის შედეგია ის, რომ არ შესრულებულა სახელშეკრულებო ვალდებულებანი. საერთოდ კომპლექსის საწარმოებმა მომხმარებელს დააკლეს 1,4 მილიონი მანეთის პროდუქცია. მომხმარებლის წინაშე ყველაზე დიდი დავალიანება აქვთ რესპუბლიკის ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს (385 ათასი მანეთი), სსრ კავშირის ნავთობ-ქიმიური მრეწველობის სამინისტროს ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანას (375 ათასი მანეთი) და სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტროს ქუთაისის ლითოპონის ქარხანას (86 ათასი მანეთი).

სამშენებლო კომპლექსის მრეწველობა

	დაქტიურად 1988 წ. I კვარტალში	დავალების შესრულების პროცენტი	1988 წ. I კვარტალი 1987 წლის I კვარტალთან შედარებით
ასაწყობი რკინა-ბეტონი, ათასი კუბური მეტრი	423	96	116
აზბესტ-ცემენტის ფურცლები (შიფერი) მილიონი პირობითი ფილა	3,6	26	34
რბილი სახურავი მასალა და იზოლი, მილიონი კვადრატული მეტრი	19,9	73	81

სამშენებლო კომპლექსის სამრეწველო საწარმოებმა, რომლებმაც უზრუნველყვეს პირველ კვარტალში ასაწყობი რკინა-ბეტონის წარმოების მატება, ვერ შეასრულეს დავალება იმის გამო, რომ ჩამორჩნენ „თბილისმრეწამშენის" მარნეულის № 7 ტრესტისა და თბილისის № 3 ტრესტის საწარმოო კომბინატები, აგრეთვე რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს № 2 დიდანელიანი სახლთსაშენებელი კომბინატის თბილისის ქარხანა და მთელი რიგი სხვა საწარმოებიც.

დავალებით გათვალისწინებულზე ნაკლები რბილი სახურავი მასალა გამოუშვეს რესპუბლიკის საშენ მასალათა სამინისტროს გორდანის მეყოფ-რუბეროიდის ქარხანამ, აზბესტ-ცემენტის ფურცლები (შიფერი) და ცემენტი დააკლო შემკვეთებს კასპის ცემენტ შიფერის კომბინატმა.

წლის დამდეგიდან სულ საშენ მასალათა ინდუსტრიის საწარმოებმა ხელშეკრულებულ დავალებათა შესრულებას დააკლეს 3 მილიონ მანეთისაზე მეტი პროდუქცია.

არასასურსათო სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების დავალებათა შესრულება ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

	დაქტიურად 1988 წ. I კვარტალში	დავალების შესრულების პროცენტი	1988 წ. I კვარტალი 1987 წლის I კვარტალთან შედარებით
ბამბის ქსოვილი მილიონი კვადრატული მეტრი	14,1	93	104
შალის ქსოვილები, მილიონი კვადრატული მეტრი	2,4	101	115
აბრეშუმის ქსოვილები, მილიონი კვადრატული მეტრი	13,0	99,4	117
ტრიკოტაჟის ნაწარმი, მილიონი ცალი	14,9	100,4	104
წინდები, მილიონი წყვილი	8,5	102	104
შეკერილი ნაწარმი, მილიონი მანეთისა	149	102	107
ფეხსაცმელი, მილიონი წყვილი	4,6	102	99,7
ტელევიზორები, ათასი ცალი	11,4	84	104
ავეჯი, მილიონი მანეთისა	38,5	96	112
საყოფაცხოვრებო საათი, ათასი ცალი	3,1	51	53
ფაიფურ-ქაშანურისა და მაიოლიკის ჭურჭელი, მილიონი მანეთისა	2,9	100	135
სორტული ჭურჭელი, მილიონი მანეთისა	3,0	91	86
შალარი, მილიონი პირობითი ნაჭერი	7,0	104	110
სუფთა ქაღალდის საქონელი, მილიონი მანეთისა	8,6	102	99,1
გალვანური ელემენტები და ბატარეები, მილიონი ცალი	20,1	101	102

იანვარ-მარტში სახალხო მოხმარების საქონელი (გარდა ალკოჰოლური სასმელებისა) წარმოებულია 1,4 მილიარდი მანეთის თანხისა, რაც 62,7 მილიონი მანეთით მეტია, ვიდრე შარმანდელ შესაბამის პერიოდში.

ამ პერიოდის მანძილზე უპირატესი ტემპით ვითარდებოდა ბამბის საკუთრებით მოდური ნაწარმისა და გაუმჯობესებული სამომხმარებლო თვისებების მქონე ახალი საქონლის წარმოება, რომელიც გამოშვება 1,5-ჯერ გაიზარდა.

ამასთანავე მთელი რიგი სამინისტროების საწარმოებმა დაუშვეს ჩამორჩენა დავალებათა შესრულებაში, მათ შორის არიან სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის საწარმოო გაერთიანებები „ელმავალმშენებელი" და „საქელექტრომანქანა", სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტროს „საქპოლიმერკონტეინერი", სსრ კავშირის მძიმე და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სამინისტროს ცხინვალის ქარხანა „ვიბრომანქანა".

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ პირველ კვარტალში სახელმწიფოს დააკლო კონკრეტული ნომენკლატურით თითქმის 5 მილიონი მანეთის პროდუქცია და საქონელი.

აგროსამრეწველო კომპლექსი

აგროსამრეწველო კომპლექსის სამრეწველო საწარმოთა მიზანი ძირითად სახეობათა **კვების პროდუქტების** გამოშვებას ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

	დაქტიურად 1988 წ. I კვარტალში	დავალების შესრულების პროცენტი	1988 წ. I კვარტალი 1987 წლის I კვარტალთან შედარებით
ხორცი (სახელმწიფო რესურსების ნედლეულიდან), ათასი ტონა	19,3	81,7	82,5
ძეხვეული, ათასი ტონა	9,0	102,9	99,7
კარაქი (სახელმწიფო რესურსების ნედლეულიდან), ტონა	181	100,6	68,6
მოუზდელი პროდუქცია რძეზე გადაანგარიშებით (სახელმწიფო რესურსების ნედლეულიდან), ათასი ტონა	60,9	101,5	102,9
ცხიმიანი ყველი, ათასი ტონა	2,6	104	73,4
მარგარინის, პროდუქცია, ათასი ტონა	12,0	100,0	110,1
შაქრის ფხვნილი, ათასი ტონა	9,8	98,0	122,0
მცენარეული ზეთი, ათასი ტონა	3,9	99,1	99,1
ხორცი (სახელმწიფო რესურსების ნედლეულიდან), ათასი ტონა	19,3	81,7	82,5
ძეხვეული, ათასი ტონა	9,0	102,9	99,7
კარაქი (სახელმწიფო რესურსების ნედლეულიდან), ტონა	181	100,6	68,6
მოუზდელი პროდუქცია რძეზე გადაანგარიშებით (სახელმწიფო რესურსების ნედლეულიდან), ათასი ტონა	60,9	101,5	102,9
ცხიმიანი ყველი, ათასი ტონა	2,6	104	73,4
მარგარინის, პროდუქცია, ათასი ტონა	12,0	100,0	110,1
შაქრის ფხვნილი, ათასი ტონა	9,8	98,0	122,0
მცენარეული ზეთი, ათასი ტონა	3,9	99,1	99,1

(დასასრული მე-8 გვ.).

გარდაქმნისა და განახლების კურსით

(დასასრული)

საკონდიტრო ნაწარმი, ათასი ტონა	17,9	100,3	102,5
ნატურალური ჩაი (სორტული დაფასოებული), ათასი ტონა	28,1	103,7	103,6
კონსერვები, მილიონი პირობითი ქილა	136,4	83,0	88,8
მათ შორის ხილბოსტნეულისა	133,0	83,3	89,8
მინერალური წყლები, მილიონი ნახევარი ლიტრი	77,0	97,9	95,2
უალკოჰოლო სასმელები, მილიონი დეკალიტრი	3,0	89,9	113,3
სასურსათო თევზის პროდუქცია თევზის კონსერვების ჩათვლით, ათასი ტონა	16,1	61,0	131,3

სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში პირველ კვარტალში წარმოებულია 32,9 ათასი ტონა ხორცი (ცოცხალი წონა), ანუ 4 პროცენტით მეტი, ვიდრე გასული წლის პირველ კვარტალში, 66,7 ათასი ტონა რძე (3 პროცენტით ნაკლები), 161,7 მილიონი ცალი კვერცხი (1 პროცენტით მეტი). ერთ ძროხაზე რძის საშუალო ნაწველი გაიზარდა 3 პროცენტით. მოქცეულის კვერცხმდებლობა — 2 პროცენტით.

მეცხოველეობის პროდუქტების შესყიდვამ ყველა კატეგორიის მეურნეობებში შეადგინა:

	პირველ კვარტალში		
	1987 წ.	1988 წ.	1988 წ. პროცენტობით 1987 წ. შედარებით
პირუტყვი და ფრინველი (ცოცხალი წონა), ათასი ტონა	40,6	38,0	94
რძე, ათასი ტონა	60,3	60,6	100,5
კვერცხი, მილიონი ცალი	155,6	156,0	100,3

პირუტყვისა და ფრინველის შესყიდვის მოცულობა პირველ კვარტალში შემცირა რესპუბლიკის 30 რეგიონმა, მათ შორის განსაკუთრებით ქალაქების ტყიბულის, წყალტუბოს და ჭიათურის ზონის, ადიგენის, ახალციხის, ვანის, დმანისის, მახარაძისა და ხობის რაიონების მეურნეობებმა; რძისა — რესპუბლიკის 19 რეგიონმა, მათ შორის განსაკუთრებით ბორჯომის, ქარელის, ლენტეხის, ონის, წულუკიძის რაიონებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მეურნეობებმა.

იანვარ-მარტში სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში შესყიდულია 2880 ტონა ღია გრუნტის საკვალსათბურე-სასათბურე და საადრეო ბოსტნეული, რაც 366 ტონით, ანუ 11 პროცენტით ნაკლებია, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში. შესყიდულია 66 ტონა პამიდორი, 232 ტონა კიტრი, 237 ტონა კომბოსტო, 2352 ტონა მწვანე კულტურები. ბოსტნეულის შესყიდვა შემცირდა აფხაზეთის, აჭარის ასს რესპუბლიკების, ქალაქ წყალტუბოს ზონის, გარდაბნისა და მაიაკოვსკის რაიონების მეურნეობებში.

მთავრდება ტექნიკის მომზადება საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოებისათვის. აპრილის დამლევისათვის გამართული იყო ტრაქტორების 93 პროცენტი, ტრაქტორების გუთნების 96 პროცენტი, კულტივატორების 95 პროცენტი, სათესლების 94 პროცენტი მათი საერთო რაოდენობიდან. მაგრამ საჭირო ტემპით ყველგან როდი მიმდინარეობს ტექნიკის რემონტი და სამუშაოდ მომზადება. ამის შედეგად 1 აპრილისათვის რესპუბლიკის მეურნეობებში ტექნიკურად გაუმართავი იყო 1908 ტრაქტორი, 2200 სატვირთო ავტომობილი, 735 ტრაქტორის მისაბმელი. გაუმართავი ტრაქტორების პროცენტი მაღალია ამბროლაურის, ლენტეხის, მესტიის, ონის, თეთრი წყაროს, ცაგერის რაიონებში. სატვირთო ავტომობილებისა — ამბროლაურის, ბოგდანოვკის, ყაზბეგის, ლენტეხის, მესტიის, ონის, თეთრი წყაროს, ცაგერის და წალკის რაიონებში; ტრაქტორის სათესლებისა — ასპინძის, დუშეთის, წულუკიძის, წითელწყაროს და ჩხოროწყუს რაიონებში. დასაწვიმებელი და სარწყავი მანქანების და დანადგარებისა — აჭარის ასს რესპუბლიკასა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ამბროლაურის, ახმეტის, გურჯაანის, გორის, მცხეთის, საგარეჯოს, წულუკიძის რაიონებში. ნელა მიმდინარეობს საკვებასალები ტექნიკის რემონტი.

შესრულდა მეწილ სახეობათა ნიადაგის დასამუშავებელი, სათესი მანქანების და მინერალური სასუქების მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებანი.

მიწოდებულია 899 ტრაქტორის გუთანი, 202 დისკოებიანი ფარცხი, 307 კულტივატორი, 273 ტრაქტორის სათესელა, 405 ნიადაგში მინერალური და ორგანული სასუქების შესატანი მანქანა.

მინერალური სასუქების მიწოდებამ (მასაზრდოებელ ნივთიერებათა 100 პროცენტზე გადაანგარიშებით) შეადგინა 61,6 ათასი ტონა, რაც 19,7 ათასი ტონით ნაკლებია, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში, ქიმიური საკვები დანამატების მიწოდებამ — 0,3 ათასი ტონა ანუ 0,2 ათასი ტონით მეტი.

საგაზაფხულო თესვას შეუდგნენ რესპუბლიკის 46 რეგიონის მეურნეობები. 18 აპრილისათვის საგაზაფხულო კულტურები დათესილია 99,2 ათას ჰექტარ ფართობზე, მათ შორის მარცვლეული და სამარცვლე პარკოსანი კულტურები — 13,7 ათას ჰექტარზე.

აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარებისათვის (მათ შორის დარგებისა, რომლებიც სოფლის მეურნეობას უზრუნველყოფენ წარმოების საშუალებებით) დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე ათვისებულია 114,8 მილიონი მანეთი **კაპიტალდაბანდება**, ანუ პირველი კვარტალის დაწესებული ლიმიტის 74,7 პროცენტი. ამენებულია ბოსტნეულ-და ხილსაცავები.

პირუტყვისა და ფრინველის სულადობა კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სამეურნეობათაშორისო საწარმოებში შეიცვალა შემდეგნაირად (ათასი სული):

	1 აპრილისათვის	
	1987 წ.	1988 წ.
მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი	685,9	660,6
მათ შორის ფური	179,5	170,7
ღორი	480,8	463,9
ცხვარი და თხა	1516,2	1470,5
ფრინველი	13917,0	13728,1

ყველაზე მეტად პირუტყვისა და ფრინველის სულადობა შემცირდა ადიგენის რაიონის მეურნეობებში (მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი — 4 პროცენტით, ღორი — 9 პროცენტით, ცხვარი და თხა — 14 პროცენტით), გეგეჭკორის (მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი — 6 პროცენტით, ღორი — 41 პროცენტით), გორის (მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი — 5 პროცენტით, ღორი — 14 პროცენტით, ცხვარი და თხა — 28 პროცენტით, ფრინველი — 12 პროცენტით), მახარაძის (მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი — 8 პროცენტით, ღორი — 9 პროცენტით, ფრინველი — 8 პროცენტით), სიღნაღის (მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი — 10 პროცენტით, ცხვარი და თხა — 5 პროცენტით) და ცაგერის რაიონების მეურნეობებში (მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი — 12 პროცენტით, ღორი — 38 პროცენტით, ცხვარი და თხა —16 პროცენტით).

კაპიტალური მშენებლობა

სახელმწიფო ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებებისა და საწარმოთა და ორგანიზაციათა ფონდების სახსრების ხარჯზე ამოქმედდა 161 მილიონი მანეთის **ძირითადი ფონდები.**

სახელმწიფო ცენტრალიზებული **კაპიტალდაბანდებანი** ათვისებულია 330 მილიონი მანეთისა, ანუ ამ პერიოდისათვის დაწესებული ლიმიტის 89 პროცენტი. საწარმოებმა და ორგანიზაციებმა გამოიყენეს საკუთარი სახსრები 100 მილიონი მანეთის ოდენობით, მათმა წილმა კაპიტალდაბანდებათა მოცულობაში შეადგინა 23 პროცენტი, მათ შორის სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსში — 12 პროცენტი, მეტალურგიულ — 93, მანქანათსაშენებელ — 65, ქიმიურ-სატყეო კომპლექსში — 93 პროცენტი.

ლიმიტის გამოყენებას, სახელმწიფო ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებებისა და საწარმოთა და ორგანიზაციათა ფონდების საშუალებების ზრდის ტემპს **კომპლექსების** მიხედვით ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

	I კვარტალის ლიმიტის გამოყენების პროცენტი	1988 წ. I კვარტალი პროცენტობით 1987 წლის I კვარტალთან შედარებით
[illegible]ტიკული კომპლექსი	102,0	98,0
მეტალურგიული კომპლექსი	108,1	134,6
მანქანათსაშენებელი კომპლექსი	103,5	79,2
ქიმიურ-სატყეო კომპლექსი	86,7	152,9
აგროსამრეწველო კომპლექსი	75,2	97,0
სამშენებლო კომპლექსი	89,6	128,4
საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო	116,6	153,3

დაბალ დონეზე აითვისეს კაპიტალდაბანდებათა ლიმიტები საქართველოს სსრ სახაგრომრეწვმა, საქართველოს სსრ ხე-ტყის მრეწველობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ პურპროდუქტების სამინისტრომ, საქართველოს სსრ ნავთობპროდუქტების სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა, აგრეთვე საკავშირო დაქვემდებარების ორგანიზაციებმა: სსრ კავშირის გაზის მრეწველობის სამინისტროს სოხუმის ექსპერიმენტულმა ქარხანამ, სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანამ, სსრ კავშირის მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტროს ახალქალაქის საბაგირო გზების მოწყობილობის ქარხანამ, სსრ კავშირის ხე-ტყისა და ქაღალდის მრეწველობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანება „საქქაღალდმრეწვმა".

სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების მიერ შესრულებულ **საიჯარო სამუშაოთა** მოცულობა გაიზარდა 6,6 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება — 3,9 პროცენტით. საიჯარო სამუშაოთა გეგმა მთლიანად სამშენებლო ორგანიზაციებმა შეასრულეს 100,7 პროცენტით. საგეგმო დავალებების შესრულებას თავი გაართვეს რესპუბლიკის მეტმა წილმა სამშენებლო ორგანიზაციებმა, მათ შორის სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სამინისტროს საწარმოო სამშენებლო-სამონტაჟო გაერთიანებამ „საქჰიდროენერგომშენმა", სსრ კავშირის წყალთა მეურნეობის სამინისტროს „საქმთავარწყალმშენის" მთავარმა სამმართველომ, სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს ტრესტებმა ამიერკავკასიის „ტრანსმშენმა", № 12 „ხიდმშენმა" და „თბილძგვირაბმშენის" სამმართველომ, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს ტრესტმა „გზამშენმა", თბილისის საქალაქო აღმასკომის ტრესტმა „ინჟმშენმა". საგეგმო დავალებანი ვერ შეასრულეს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ და საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის რესპუბლიკურმა გაერთიანებამ „საქაგრომშენმა".

ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა

ტვირთის გაგზავნასა და საერთო სარგებლობის ტრანსპორტის **საქონელბრუნვას** ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

	გაგზავნილია ტვირთი		ტვირთბრუნვა	
	1988 წლის I კვარტ., მილ. ტონა	1988 წლის I კვარტ. პროცენტობით 1987 წ. I კვარტ. შედარებით	1988 წ. I კვარტ., მილიონი ტონა-კილომეტრი	1988 წ. I კვარტ. პროც. 1987 წ. I კვარტ. შედარებით
ყველა სახეობის ტრანსპორტი	63,7	100,7	20250,7	107,5
მათ შორის:				
რკინიგზის	13,9	97,6	4363,6	100,2
მილსადენი	0,1	142,6	35,4	127,3
საზღვაო	2,3	104,9	15189,0	110,2
საავტომობილო	47,4	101,2	656,3	99,1
საავიაციო	3,2[1]	92,1	6,4	87,7

[1] ათასი ტონა

რკინიგზის ტრანსპორტით ტვირთის საერთო გაზავნის დავალება 102,8 პროცენტით შესრულდა, საზღვაო ტრანსპორტით საზღვარგარეთის ტვირთზიდვის მიხედვით—104,1 პროცენტით.

ტვირთის გაგზავნის გეგმა ვერ შეასრულეს ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილებამ (გეგმა შესრულდა 88,4 პროცენტით), აგრეთვე საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველომ (92,1 პროცენტი).

საერთო სარგებლობის ყველა სახეობის ტრანსპორტის მგზავრთბრუნვამ შეადგინა 3,9 მილიარდი მგზავრკილომეტრი, ანუ 0,3 პროცენტით ნაკლები, ვიდრე 1987 წლის პირველ კვარტალში.

რკინიგზის ტრანსპორტზე მგზავრთბრუნვამ შეადგინა 878,6 მილიონი მგზავრკილომეტრი, ანუ გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 3,8 პროცენტით შემცირდა. გეგმა მთლიანად არ შესრულებულა.

სამოქალაქო ავიაციამ გადაიყვანა 460 ათასი მგზავრი და შეასრულა 910 მილიონი მგზავრკილომეტრი, რაც გეგმაზე შესაბამისად 2 და 2,2 პროცენტით მეტია, მაგრამ რამდენადმე ნაკლები, ვიდრე გასული წლის იანვარ-მარტში.

გრძელდება მოძრაობის გრაფიკების დარღვევა. განრიგით აეროპორტებში მივიდა თვითმფრინავების 96,3 პროცენტი — ადგილობრივის გარდა (გასული წლის პირველ კვარტალში—95,2 პროცენტი); სამგზავრო მატარებლები (საგარეუბნოს გარდა)—შესაბამისად 74 პროცენტი და 82,2 პროცენტი.

რკინიგზის ტრანსპორტით ტვირთზიდვაზე დასაქმებულ მუშაკთა შრომის ნაყოფიერებამ დავალებას 9 პროცენტით ჭადააჭარბა და 1987 წლის პირველ კვარტალთან შედარებით 6,4 პროცენტით გაიზარდა. ამასთან რკინიგზის ტრანსპორტით ტვირთზიდვის თვითღირებულება გეგმასთან შედარებით გაძვირდა 0,2 პროცენტით (გასული წლის იანვარ-მარტთან შედარებით—0,3 პროცენტით).

საავტომობილო ტრანსპორტმა გადაზიდა გეგმაზე 0,7 მილიონი ტონით მეტი ტვირთი. საერთო სარგებლობის ავტობუსებითა და მსუბუქი ტაქსით მგზავრთა გადაყვანის შემოსავალმა შეადგინა 51,7 მილიონი მანეთი (დავალების 100,3 პროცენტი და გასული წლის შესაბამისი პერიოდის 101,5 პროცენტი).

სახკომპელტრანსის საბაგირო გზებით გადაყვანილია 1,1 მილიონზე მეტი მგზავრი, რაც გეგმაზე 6,1 პროცენტით და 1987 წლის I კვარტალთან შედარებით 14,8 პროცენტით მეტია.

მოსახლეობისათვის **კავშირგაბმულობის** მომსახურების რეალიზაციამ პირველ კვარტალში შეადგინა 14,0 მილიონი მანეთი, ანუ 6,9 პროცენტით მეტი, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში. ამ მაჩვენებლის მიხედვით გეგმა შესრულებულია 100,8 პროცენტით. კავშირგაბმულობის საწარმოთა სატელეფონო ქსელში ძირითადი სატელეფონო აპარატების რიცხვი 1 აპრილისათვის 1988 წლის 1 იანვართან შედარებით გაიზარდა 4,3 ათასი ცალით.

IV. სოციალური განვითარება და ხალხის ცხოვრების დონის ამაღლება

შრომის ანაზღაურება და მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები

მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიურმა ფულადმა ხელფასმა სახალხო მეურნეობაში შეადგინა 174 მანეთი გასული წლის შესაბამისი პერიოდის 169 მანეთთან შედარებით, ანუ გაიზარდა 3 პროცენტით, კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურებამ საზოგადოებრივ მეურნეობაში შეადგინა შესაბამისად 95 მანეთი 92 მანეთთან შედარებით (გაიზარდა 3,8 პროცენტით).

გრძელდება საწარმოო დარგების შრომის ანაზღაურების ახალ პირობებზე გადაყვანა.

მოსახლეობამ მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან მიიღო 695 მილიონი მანეთი **მისაცემლები და შეღავათები,** რაც 45 მილიონი მანეთით, ანუ 6,9 პროცენტით მეტია, ვიდრე შარშანდელი წლის პირველ კვარტალში.

კვლავ იზრდებოდა ათი და მეტი წლის წინათ დანიშნული მუშაკთა, მოსამსახურეთა და მათი ოჯახების პენსიები. 1988 წლის 1 იანვრიდან პენსიების მინიმალური ოდენობა გაეზარდათ კოლმეურნეობების წევრებსა და მათ ოჯახებს, რომლებსაც სულ ცოტა ათი წელია უხდიან.

ხორციელდებოდა სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებანი. გაიზარდა ავადმყოფთა კვების, მედიკამენტების, მოწყობილობისა და ინვენტარის შეძენის ხარჯების ნორმები ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებში, შემოღებულია მედიკამენტების უფასო გაცემა 3 წლამდე ასაკის ბავშვთა მკურნალობისათვის და სხვა შეღავათები.

ხორციელდებოდა ობოლი და მშობლების მზრუნველობას მოკლებული ბავშვების მატერიალური უზრუნველყოფის გაუმჯობესების ღონისძიებანი.

სსრ კავშირის შემნახველი ბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკის დაწესებულებებში მოსახლეობის ანაბრები კვარტალის განმავლობაში 117 მილიონი მანეთით გაიზარდა.

საქონლითა და მომსახურებით მოსახლეობის უზრუნველყოფა

მოსახლეობისათვის სახალხო მოხმარების საქონლისა და ფასიანი მომსახურების რეალიზაცია გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 5,9 პროცენტით გაიზარდა.

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის **საცალო საქონელბრუნვის** მოცულობამ შეადგინა 1391,6 მილიონი მანეთი და 1987 წლის პირველ კვარტალს აღემატებოდა (ფაქტობრივი ფასებით) 67,9 მილიონი მანეთით.

მთლიანად რესპუბლიკაში საცალო საქონელბრუნვის გეგმა 1988 წლის პირველ კვარტალში შესრულდა 93,9 პროცენტით, გეგმის შესრულებას დააკლდა 84,9 მილიონი მანეთი. საგეგმო დავალებათა შესრულება ვერ უზრუნველყვეს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, სამომხმარებლო კოოპერაციის, სავაჭრო ორგანიზაციებმა, „საქქვანახშირის" მუშათა მომარაგების სამმართველოს, საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის" მუშათა მომარაგების განყოფილების, ამიერკავკასიის რკინიგზის მუშათა მომარაგების საგზაო სამმართველოს ორგანიზაციებმა.

ალკოჰოლიანი სასმელების გაყიდვა შარშანდელ პირველ კვარტალთან შედარებით გაიზარდა 11 მილიონი მანეთით, ანუ 28,4 პროცენტით (შესადარი ფასებით); ამასთან ალკოჰოლიანი სასმელები რეალიზებულია გეგმაზე 8,6 მილიონი მანეთით, ანუ 15,1 პროცენტით ნაკლები. არყისა და ლიქიორ-არყის ნაწარმის რეალიზაცია შემცირდა 11,4 პროცენტით.

სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში ცალკეული საქონლის გაყიდვას ახასიათებს შემდეგი მონაცემები (შესადარი ფასებით; მილიონი მანეთი):

	გაიყიდა 1988 წლის I კვარტალში	1988 წლის I კვარტალი პროცენტობით 1987 წლის I კვარტალთან შედარებით
ხორცი და ხორცეული	100,3	115
თევზი და თევზეული	10,7	75
ერბო-კარაქი	31,0	111
მცენარეული ზეთი	4,8	85
მარგარინის პროდუქცია	2,4	81
მოუხდელი რძის პროდუქცია	13,2	97
ყველი	6,4	81
კვერცხი	13,0	96
შაქარი	31,3	106
საკონდიტრო ნაწარმი	34,9	103
ჩაი	2,8	134
პურპროდუქტები, ათასი ტონა	196,1	100,6
კარტოფილი, ათასი ტონა	26,6	132
ბოსტნეული, ათასი ტონა	15,4	126
ხილი და ციტრუსები, ათასი ტონა	5,0	73
უალკოჰოლო სასმელები, მილიონი დეკალიტრი	4,5	101
მინერალური წყლები, მილიონი დეკალიტრი	1,7	125
ხილის, ბოსტნეულის წვენები, მილიონი პირობითი ქილა	8,1	104
თამბაქოს ნაწარმი	31,7	88
ტანსაცმელი, საცვლები და ქსოვილი	108,5	89
ტრიკოტაჟის ნაწარმი	55,5	98
წინდები	15,3	113
ფეხსაცმელი	48,7	105
ფაიფურ-ქაშანურის, მაიოლიკისა და მინის ჭურჭელი	3,8	138
საპონი და სინთეზური სარეცხი საშუალებანი	11,9	130
ავეჯი	32,3	100,4
მაცივრები და საყინავები, ათასი ცალი	18,0	104
მათ შორის 200 კუბური დეციმეტრი და მეტი მოცულობის კამერიანი	7,0	105
სარეცხი მანქანები, ათასი ცალი	26,2	105
ელექტრომტვერსასრუტები, ათასი ცალი	11,0	103
საათი, ათასი ცალი	158,5	102
ფოტოაპარატები, ათასი ცალი	5,6	101
რადიომიმღები მოწყობილობანი, ათასი ცალი	22,8	100,3
ტელევიზორები, ათასი ცალი	30,1	101
მათ შორის ფერადგამოსახულებიანი	15,5	102
მაგნიტოფონები, ათასი ცალი	18,9	100,4
სპორტსაქონელი,	12,7	107
ველოსიპედები და მოპედები, ათასი ცალი	11,7	105
მოტოციკლები და მოტოროლერები, ათასი ცალი	1,6	97
მსუბუქი ავტომობილები, ათასი ცალი	13,6	103
ხე-ტყის მასალები, ათასი კუბური მეტრი	74,8	120
შიფერი, მილიონი პირობითი ფილა	29,1	115
ავტომობილის ბენზინი, ათასი ტონა	92,0	105

მიუხედავად იმისა, რომ ვაჭრობაში მეტი შემოდის ხორცისა და რძის პროდუქტები, მოსახლეობის მოთხოვნა მათზე ვერ კმაყოფილდება. ცალკეულ შემთხვევებში მოსახლეობის მოთხოვნილებებს ვერ აკმაყოფილებს პურის, პურფუნთუშეულისა და საკონდიტრო ნაწარმის ასორტიმენტი და ხარისხი.

ჯეროვნად ვერ განავითარეს ხილბოსტნეულის პროდუქციით ვაჭრობა ბაზრებში სასოფლო-სამეურნეო საწარმოებმა და სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებმა. კვლავ მატულობს ფასები ქალაქების საკოლმეურნეო ბაზრებში; მათი საერთო დონე გასული წლის პირველ კვარტალთან შედარებით გაიზარდა 7,8 პროცენტით, მათ შორის სტაფილოსი — 22,6, ბოსტნეულისა — 20,7, ლობიოსი — 19,6, ციტრუსებისა — 14,2 პროცენტით.

არ ნელდება დაძაბულობა ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით მოსახლეობის უზრუნველყოფაში, მათი არჩევანი მაღაზიებში შეზღუდულია. მაღაზიებში გასაყიდად გამოტანილი ნაწარმი ყოველთვის ვერ სარგებლობს მოსახლეობის მოთხოვნით მოძველებული ფასონების, არადამაკმაყოფილებელი ხარისხის გამო. სუსტად წყდება სპორტული და ტურისტული დანიშნულების საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნის უზრუნველყოფის პრობლემა.

ნელა უმჯობესდება საქმის ვითარება მარტივი საოჯახო საქონლის ვაჭრობაში. მთელ რიგ რეგიონებში ორგანიზებული არ არის ბევრი მათგანის წარმოება, რის გამოც უმარტივესი ნაწარმიც კი ხშირად დაშორებული რაიონებიდან შემოაქვთ.

ხე-ტყე და საშენი მასალები ვაჭრობამ მიიღო 26,2 პროცენტით მეტი, ვიდრე შარშან პირველ კვარტალში. მაგრამ მოსახლეობის მოთხოვნა ამ მასალებზე სრულად ვერ კმაყოფილდება.

მოსახლეობის **ფასიანი მომსახურების** მოცულობამ შეადგინა 200,2 მილიონი მანეთი და გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით გაიზარდა 12,7 პროცენტით. მისი რეალიზაციის გეგმა შესრულდა.

ჯეროვნად ვერ განვითარდა ასეთი მომსახურების სფერო რესპუბლიკის მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების სისტემებში, საკავშირო დაქვემდებარების ცალკეულ საწარმოებსა და ორგანიზაციებში. რესპუბლიკის 33 სამინისტროდან და უწყებიდან და საკავშირო დაქვემდებარების 136 საწარმოდან და ორგანიზაციიდან, რომლებისთვისაც მომსახურების გაწევა არ შეადგენს ძირითად საქმიანობას, მისი რეალიზაციის გეგმის შესრულება უზრუნველყო შესაბამისად 25 და 110-მა.

ფასიანი მომსახურების 40 პროცენტზე მეტი მოდის საბინაო-კომუნალური და სატრანსპორტო მომსახურების წილად, 35 პროცენტი — საყოფაცხოვრებო მომსახურების წილად. მოსახლეობას გაეწია 70,4 მილიონი მანეთის საყოფაცხოვრებო მომსახურება; გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით მისი მოცულობა გაიზარდა 21,7 პროცენტით, გეგმა შესრულდა 105 პროცენტით. გეგმას ჩამორჩნენ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველო, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვა", საწარმოო გაერთიანებანი: „საქთევზმრეწვი", „ელმავალმშენებელი", „ელექტროაპარატი", „საქქვანახშირი", „ქუთაისის ავტოქარხანა", „საქქიმფარმპრეპარატი", მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი, ბათუმის ელექტრომექანიკური და ქუთაისის ლითოფონის ქარხნები. საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის გეგმა სოფლად შესრულდა 105,8 პროცენტით.

საბინაო და სოციალურ-კულტურული მშენებლობა

საექსპლოატაციოდ გადაცემულია 193,6 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები, მათ შორის საწარმოთა და ორგანიზაციათა ფონდების სახსრების ხარჯზე—7,7 ათასი კვადრატული მეტრი. ბინების მწყობრში ჩაყენება დარჩა გასული წლის შესაბამისი პერიოდის დონეზე. პირველი კვარტალის გეგმა მთლიანად რესპუბლიკაში შესრულდა. დავალებანი უზრუნველყო ყველა შემკვეთმა ორგანიზაციამ, გარდა საქართველოს სსრ სახაგრომრეწვისა.

ამოქმედდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა 168 მოსწავლისათვის, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები 2220 მოსწავლისათვის, სკოლამდელი დაწესებულებანი — 1596 ბავშვისათვის, ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებანი — ცვლაში 3925 პაციენტის მიღებისათვის. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით სკოლამდელი დაწესებულებანი ამოქმედდა 4,5-ჯერ მეტი, ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებანი — 3,2-ჯერ მეტი. სოციალური დანიშნულების ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემის პირველი კვარტალის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა.

გარემოს დაცვა

ხორციელდებოდა გარემოს დაცვისათვის მუშაობა რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონში, მათ შორის ყველაზე დაძაბული ეკოლოგიური ვითარების მქონე რეგიონებში. ამავე დროს იყო ბუნების დაცვის კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევები, კერძოდ, წყლის რესურსებისა და გარემოს ავარიული გაჭუჭყიანება ქალაქ ბათუმში (ნავთობპროდუქტების გადინება ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ნავთობსაცავიდან და ცენტრალური გადასატვირთი ნავთობბაზიდან), ქალაქ სოხუმში (ნავთობპროდუქტების გაჟონვა სოხუმის სადგურის სალოკომოტივო დეპოდან).

ბუნებრივი რესურსების შენარჩუნებისა და გამრავლებისათვის, გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის მუშაობის ორგანიზაციის სრულყოფის მიზნით დასახულია რესპუბლიკაში ბუნების დაცვის საქმის ძირფესვიანი გარდაქმნის ძირითადი მიმართულებანი.

* * *

საქართველოს სსრ მშრომელები, რომლებმაც გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XIX საკავშირო კონფერენციის ღირსეულად შეხვედრისათვის, ყოველნაირად ცდილობენ განამტკიცონ პირველ კვარტალში ეკონომიკის განვითარებაში მიღწეული დადებითი ძვრები და წარმატებით შეასრულონ მიმდინარე წლის ვეგმები.

საქართველოს სსრ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტი

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

საუბარი კრემლში

28 აპრილს კრემლში ა. ა. გრომიკომ მიიღო შვეიცარიის ფედერალური საბჭოს (მთავრობის) წევრი, შინაგან საქმეთა ფედერალური დეპარტამენტის უფროსი (მინისტრი) ფლავიო კოტი, რომელიც საბჭოთა კავშირში იმყოფება სსრ კავშირის კულტურის მინისტრის მოწვევით. შვეიცარიის სახელმწიფო მართვის ორგანოების თავისებურება ის არის, რომ თითოეული დეპარტამენტის კომპეტენცია საკმაოდ ფართოა. მაგალითად, შინაგან საქმეთა დეპარტამენტი, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და კანონების შესრულებისადმი კონტროლის გარდა, მუშაობს აგრეთვე კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, გარემოს დაცვის განათლებისა და მეცნიერების საკითხებზე.

საუბარმა გულახდილ და მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

საუბარს დაესწრნენ სსრ კავშირის კულტურის მინისტრის მოადგილე ვ. ი. კაზენინი და შვეიცარიის ელჩი სსრ კავშირში ფრანსის პიანკა.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის პლენუმი

28 და 29 აპრილს მუშაობდა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის პლენუმი, რომელმაც განიხილა საკითხი „საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების გარდაქმნის გაშუქების საქმეში ჟურნალისტის როლის შესახებ". ანგარიშები გააკეთეს სამტრედიის რაიონული გაზეთის „წინსვლის" რედაქტორმა ა. გრიგოლიამ და მაიაკოვსკის რაიონული გაზეთის „წითელი დროშის" რედაქტორმა შ. ებანოიძემ. მოისმინეს აგრეთვე საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის პასუხისმგებელი მდივნის მოადგილის ა. სიხარულიძის მოხსენება.

სამტრედიისა და მაიაკოვსკის რაიონული გაზეთების რედაქციათა შემოქმედებითი კოლექტივების მუშაობა გარდაქმნის სოციალურ-ეკონომიკური საკითხების გაშუქებისათვის პლენუმმა არასაკმარისად ცნო. დასახულია გარდაქმნის მეორე ეტაპის, XIX საკავშირო პარტიული კონფერენციისათვის მზადების პირობებში რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა საქმიანობის გააქტიურების ღონისძიებანი.

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა.

პლენუმმა დაამტკიცა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის ანგარიში 1987 წელს გაწეული მუშაობის შესახებ და აირჩია პროფესიული ეთიკისა და სამართლის რესპუბლიკური საბჭო.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები. საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის მდივნებად აირჩიეს გაზეთ „პრავდის" საკუთარი კორესპონდენტი საქართველოს სს რესპუბლიკაში გ. ლებანიძე, გაზეთ „სოვეტაკან ჰაიასტანის" რედაქტორი ვ. ბაიბურთი, გაზეთ „სოვეთ გურჯისთანის" რედაქტორი თ. ჯაფარლი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის დირექტორი ვ. ესვანჯია და საქართველოს სსრ გამსახკომის თავმჯდომარე რ. ღლონტი.

პოლონური სიმღერების კონკურსი

შეჯამდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების პოლონური სიმღერის ზონალური კონკურსის შედეგები. ორი დღის განმავლობაში რუსთავში რვა თვითმოქმედი მხატვრული კოლექტივი ეჯიბრებოდა ერთმანეთს პოლონური სიმღერის საკავშირო ფესტივალში მონაწილეობის უფლებისათვის, რომელიც მოეწყობა 16-24 ივლისს ბელორუსიის ქალაქ ვიტებსკში.

ჟიურიმ მუსიკის საკავშირო დღესასწაულის საგზურები და გამარჯვებულთა დიპლომები გადასცა ქალაქ მცხეთის ვოკალურ კვინტეტს ინსტრუმენტული ანსამბლის თანხლებით, ქალაქ სოხუმის ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა კულტურის სასახლესთან არსებულ ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლ „აფსნის", სომხეთის სსრ ქალაქ კაფანის ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლ „კაფანს" და ქალაქ ბაქოს ილიჩის სახელობის მენავთობეთა კულტურის სასახლის ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლს. კოლექტივებს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს, მიენიჭათ წამახალისებელი პრიზები. რუსთავის მოსმენაზე მოწვეული იყვნენ პოლონელი კომპოზიტორები ი. კარჩაროვსკი და ვ. პანიკი.

ჩვენ ინტერნაციონალისტები ვართ

ხსოვნის ვახტი

აუზაგადელი თორმეტი წლის მოსწავლის ანდრია ბუტენკოს მღელვარება ხავსებით გასაგებია. იგი პირველად აღმოჩნდა ეხოდენ წარმომადგენლობით ფორუმზე და ამასთან ყველაზე ნორჩი მონაწილე გახდა ხსოვნის საკავშირო ვახტისა, რომელიც 28 აპრილს გაიხსნა თბილისში. იგი დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 43 წლისთავს მიეძღვნა და ქვეყანაში 10 მაისამდე გასტანს.

...დილის 10 საათი. საქართველოს დედაქალაქში ჩამოსულმა ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, მრავალი გმირი ქალაქის წარმოგზავნილებმა გვირგვინით შეამკეს ვ. ი. ლენინის ძეგლი ბელადის სახელობის მოედანზე. აქედან მათ მიაშურეს ა. ს. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო რუსული დრამის თეატრის შენობას, სადაც გაიმართა ცენტრალური მოვლენა — ვახტის გახსნა. დარბაზში ჟღერს ომისდროინდელი სიმღერები. დიქტორის ხმა დამსწრეთ შეახსენებს დიდ სამამულო ომში ჩვენი ხალხის გმირობას. შეკრებილებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს შინმოუსვლელთა ხსოვნას.

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ს. ი. როგოჟკინი და ავიაციის მარშალი, საბჭოთა კავშირის გმირი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის რევოლუციურ, საბრძოლო და შრომითი დიდების ადგილებში კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის საკავშირო ლაშქრობის ცენტრალური შტაბის თავმჯდომარე ს. ი. რუდენკო აცხადებენ, რომ გაიხსნა ხსოვნის საკავშირო ვახტი. თითქმის ათი წელია, რაც კომკავშირის ინიციატივით იგი ყოველწლიურად ეწყობა ქვეყნის შრომით და სასწავლო კოლექტივებში, ჯარის ნაწილებსა და შენაერთებში. პირველად ხსოვნის ვახტი ქალაქ ნოვოროსიისკში გაიმართა. შემდეგ მოეწყო ვოლგოგრადში, ტალინში, რიგაში, ვილნიუსში, მინსკში, კიევში, კიშინიოვში, ერევანში. 1995 წელს კი გამარჯვების 50 წლისთავისადმი მიძღვნილ ვახტს მიიღებს ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი — მოსკოვი. ეს აქციები მოწოდებულია უკვდავყოს სამშობლოს დაღუპულ დამცველთა ხსოვნა, ყმაწვილ თაობას ჩაუნერგოს სამშობლოს სიყვარულის გრძნობა, იმისათვის სიამაყის გრძნობა, რომ გამარჯვებული საბჭოთა ხალხის შვილია.

შემთხვევითი არ არის, რომ ამ დღეებში ყველგან ეწყობა შრომითი ვახტები და დესანტები, შენდება ხსოვნის ხეივნები და პარკები. წესრიგში მოჰყავთ საძმო და მეომართა საფლავები, მემორიალური კომპლექსები, ძეგლები და ობელისკები, მათთან დგება საპატიო ყარაული. კეთილეწყობა ქუჩები, რომლებიც ატარებენ დიდი სამამულო ომის გმირთა სახელებს, ადგილებზე იმართება სამხედრო-პატრიოტული კონცერტები, ვიქტორინები, ავტომოტორბენები, ლაშქრობები და ექსკურსიები საბრძოლო დიდების ადგილებში.

წითელმა კვალმაძიებლებმა გამოავლინეს აქამდე უცნობი გმირობის ამბები, უცნობ მებრძოლთა სახელები. მათ შორის არიან ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებიც. და აი, ორმოცი წელზე მეტი ხნის შემდეგ საქართველოს სსრ სამხედრო კომისარიატის პოლიტგანყოფილების უფროსი ვ. გ. სულაბერიძე გმირების ახლობლებსა და ნათესავებს გადასცემს საბრძოლო ორდენებსა და მედლებს.

ფრონტელთა პატივსაცემად სამხედრო ცეკვას ასრულებს ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი. პოპულარული ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „მზიური" კი მაყურებელს სთავაზობს პოპურის ომის წლების სიმღერების თემაზე.

კინოქრონიკის კადრებს მაყურებელი გადაჰყავს ომის წლებში, აცოცხლებს ომში ჯარისკაცების გაცილებას, თანაპოლკელთა შეხვედრებს. გაისმის დიქტორის ხმა და ყველას თვალწინ წარმოუდგება დამწუხრებული დედის სახე. დარბაზში არავინ დატოვება გულგრილი ვახტის გახსნის მონაწილეებისათვის ერთი მუჭა მშობელი მიწის გადაცემის რიტუალს.

დგება ვახტის გახსნის დასკვნითი აკორდის ჟამი. ყველა მონაწილე სცენაზე გამოდის. დარბაზში გაისმის სიტყვები ესოდენ გასაგები და ახლობელი სიმღერისა „ჩვენ მშვიდობის მომხრენი ვართ", რომელიც შეასრულა თამრიკო გვერდწითელმა. „მომავლის კარის შეღებისას ჩვენი წარსულის ხსოვნა შეინახე" — ამ სიტყვებით იწყება საქართველოს კომკავშირელების, ახალგაზრდობის მიმართვა, რომელიც მიიღო ყველა მონაწილემ.

გახსნის პროგრამა ამოწურულია. მაგრამ ვახტი გაგრძელდება ათასობით ახალგაზრდა პატრიოტი აქტივისტის ყოველდღიური, თავდადებული საქმიანობით.

ხსოვნის საკავშირო ვახტის გახსნაზე იყვნენ ამხანაგები ბ. ვ. ნიკოლსკი, გ. გ. გუმბარიძე, ჯ. ვ. მარგველიძე, ვ. მ. სირაძე.

(საქინფორმი)

შემოქმედებითი ნოვატორებით, საზეიმო განწყობილებით

პირველი მაისი მარტო მეგობრობის, სოლიდარობის დღესასწაული როდია, იგი ჩვენი საზოგადოების თითოეული წევრის შემოქმედების და მიღწევების დემონსტრაციის დღეც არის. რესპუბლიკის ადამიანები ხელდამშვენებული მიდიან რა დემონსტრაციაზე, კიდევ ერთხელ ადასტურებენ იმას, რომ გარდაქმნის [illegible] ცხოვრებას [illegible] დემონსტრაციის [illegible] მიღწევე- [illegible] პირველ მაისს [illegible] განწყობილებით და იმედით მიდიხართ საპირველმაისო დემონსტრაციაზე?

ანზორ ზორბაძე — თბილისის „ელმავალმშენებლის სანრმოო გაერთიანების კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი:

სა. მოგებამ 1 მილიონ 40 ათასი მანეთი შეადგინა.

წლეულს მიღწევები მეტი გვექნება, რადგანაც ზამთრისა და საგაზაფხულო სამუშაოები აგროვადებში და ხარისხოვნად შესრულდა. პირველი მაისისათვის დავამთავრებთ სამარცვლე სიმინდის, სოიის, ბოსტნეულის თესვას. საკვები კულტურების თესვასაც მალე მოვრჩებით, ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის სეზონს მომზადებული შევხვდით. გვაქვს განვითარებული მეცხოველეობა. დარგის მუშაკებმა ხორცის, რძის და სხვა პროდუქტების წარმოებისა და დამზადების იანვარ-აპრილის გეგმა 25 აპრილისათვის შე- [illegible]

პლენუმზე. მისი პრემიერა შარშან საბერძნეთში გაიმართა. კვარტეტის გარდა პლენუმზე აჟღერდა ჩემი კიდევ ორი ახალი ნაწარმოები — სავიოლინო სერენადა-კონცერტი ლიანა ისაკაძის შესრულებით და საფორტეპიანო ტრიო [illegible] ა, ეს არის ჩემი შემოქმედებითი მონაპოვარი და დიდი სიხარულიც.

დემონსტრაციაზე გარკვეული ოპტიმისტური განწყობილებით მივდივარ ჩემს კოლექტივთან ერთად. ბათუმის სამუსიკო სასწავლებელში, რომლის ხელმძღვანელობაც მე დამევალა, წლეულს შევძელით ნაწილობრივ მოგვეგვარებინა შემოქმედებითი ცხოვრება. მთავრდება საკონცერტო დარბაზის მშენებლობა, რითაც ხორცი ესხმება დასახულ მიზნებს. მიზნები კი ახლა, სასკოლო რეფორმის პერიოდში, მოგეხსენებათ, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

მჯერა, უფრო თამამნი გავხდებით და ამ საყოველთაო გარდაქმნის პერიოდში დემოკრატიულობის გაღრმავებასა და მეტ საჯაროობას [illegible]

[illegible]

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ◆ მოვლენა ◆ კომენტარი

რუსთაველის საზოგადოება

„საქმთავარენერგოში" გაიმართა რუსთაველის საზოგადოების პირველადი ორგანიზაციის დამფუძნებელი კრება. კრებას ესწრებოდა რუსთაველის საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე პოეტი რ. ამაშუკელი.

კრება გახსნა „საქმთავარენერგოს" უფროსის მოადგილემ ზ. აბაშმაძემ. პოეტი რ. ამაშუკელი დაწვრილებით ესაუბრა რუსთაველის საზოგადოების მიზნებზე, დანიშნულებასა და წევრების უფლება-მოვალეობათა შესახებ.

კრებამ ერთხმად დაადგინა ჩამოყალიბდეს „საქმთავარენერგოში" რუსთაველის საზოგადოების პირველადი ორგანიზაცია და აირჩია გამგეობა 11 კაცის შემადგენლობით.

პირველადი ორგანიზაციის თავმჯდომარედ არჩეულია „საქმთავარენერგოს" უფროსის მოადგილე ზ. აბაშმაძე, მდივნად უფროსი ინჟინერი ფ. ბებიაშვილი.

▼ ▼

მეცნიერის დაფასება

გუშინ აფხაზეთის მ. გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი კორპუსის ეზოში საზეიმოდ გაიხსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, აფხაზეთის უნივერსიტეტის პირველი რექტორის ზ. ი. ანჩაბაძის ძეგლი.

მიტინგი გახსნა საქართველოს კომუნისტური პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა რ. ბოლიამ. [illegible]

▼ ▼

ახალი სანატორიუმი

[illegible]

„ჩვენი ნაპირი"

[illegible]

ქრონიკა

[illegible]

უცხოეთში

საქდესი იუწყება 29 აპრილი

◆ უნგრეთი

სამშვიდობო ფორუმი

ბუდაპეშტი. „მშვიდობისათვის მოძრაობის როლი და ადგილი სოციალისტურ საზოგადოებაში" — ასეთია საბჭოთა კავშირ-უნგრეთის კონფერენციის თემა, რომელიც დამთავრდა ბუდაპეშტში. ფორუმის დაცვის მონაწილეებმა, რომლებიც წარმოადგენდნენ საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტისა და სრულიად უნგრეთის მშვიდობის საბჭოს, განიხილეს მშვიდობისათვის მოძრაობის როლი საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების ფორმირებაში.

კონფერენციაზე გამოსულნი ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ მშვიდობისათვის მოძრაობის როლი და პასუხისმგებლობა, რომლებიც საზოგადოებრიობის ფართო ფენებს მოიცავენ, იზრდება არა მარტო საერთაშორისო ურთიერთობაში, არამედ ორი ქვეყნის [illegible]

● კანადა

გამოაშკარავდა შეთქმულება

[illegible]

● ინგლისი

გარდაიცვალა ლორდი ბროკუეი

ლონდონი, 99 წლის ასაკში [illegible]

საზოგადოებრივი აზრი

მკვეთრი ცვლილება

ვაშინგტონი. ამერიკელთა 61 პროცენტს მიაჩნია, რომ ამერიკა-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა უმჯობესდება. ასეთია საზოგადოებრივი აზრის გამოკვლევის ერთ-ერთი შედეგი, რომელიც პრეზიდენტის არჩევნების წელს მოეწყო დევიზით „ამერიკელები მსჯელობენ უშიშროების საკითხებზე". ამ გამოკვლევის შედეგები წარმოადგინეს ხუთშაბათს პრესის ეროვნულ კლუბში გამართულ პრეს-კონფერენციაზე.

„მკვეთრი ცვლილება" უწოდა ამერიკა-საბჭოთა კავშირის ურთიერთობისადმი ამერიკელთა დამოკიდებულების შესახებ მონაცემებს გამოკითხვის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა ჯონ მარტილამ. მან აღნიშნა, რომ 1986 წელს ჰელაპის ინსტიტუტის მიერ მოწყობილი გამოკითხვის შედეგებით გამოკითხულთა მხოლოდ 24 პროცენტს მიაჩნდა, რომ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა უმჯობესდება. პრეს-კონფერენციაზე წარმოდგენილი მონაცემების თანახმად, ამერიკელთა უმრავლესობა — 76 პროცენტი — პოზიტიურად აფასებს მ. ს. გორბაჩოვს.

„მიხეილ გორბაჩოვის პოპულარობა მნიშვნელოვანი წვლილია იმ აზრის განმტკიცებაში, რომ ამერიკა-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა უმჯობესდება, — ნათქვამია მოხსენებაში, სადაც გამოკვლევის შედეგებია შეჯამებული.

ტელეტაიპის [illegible]

⊙ ბოგოტა. კოლუმბიის დედაქალაქში დამთავრდა კინოს მეხუთე საერთაშორისო [illegible] ლათინური ამერიკის ფილმებს შორის მთავარი [illegible]

[illegible]

პაკისტანი—აშში

მილიტარისტული გარიგება

[illegible]

◆ საფრანგეთი

პრეტენდენტთა ტელეკამათი

პარიზი. საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა მიტერანმა კვლავ დაუჭირა მხარი სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ხელმოწერილ შეთანხმებას საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ. პრემიერ-მინისტრთან ჟაკ შირაკთან ტელეკამათის დროს პრეზიდენტმა აღნიშნა აგრეთვე, რომ საჭიროა გაგრძელდეს განიარაღების პროცესი და, კერძოდ, გადაიჭრას ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების პრობლემა.

ჟაკ შირაკმა ამასთან დაკავშირებით გასაგებად თქვა, რომ იგი ილაშქრებს ევროპაში ბირთვული შეიარაღების შემდგომი შემცირების წინააღმდეგ. ამასთანავე პრემიერ-მინისტრმა მხარი დაუჭირა ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის ბირთვული არსენალების შემცირებას. ახლანდელი ტელეკამათი ფრანსუა მიტერანსა და ჟაკ შირაკს შორის, რომლებიც იბრძვიან ქვეყნის პრეზიდენტის პოსტისათვის, მოეწყო 8 მაისს მომავალი პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტურისათვის მომზადების ფარგლებში.

სტატისტიკა

შიდსის ეპიდემია

ჟენევა. შიდსის ეპიდემია სწრაფი ტემპით ვრცელდება მსოფლიოში. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ აქ გამოქვეყნებული მონაცემებით, 27 აპრილისათვის 138 ქვეყანაში აღრიცხულია ამ მეტად საშიში დაავადების 88.081 შემთხვევა — 2.808 შემთხვევით მეტი, ვიდრე მარტში.

მარტო შეერთებულ შტატებში რეგისტრირებულ ავადმყოფთა რიცხვმა 57.575 მიაღწია, ხოლო მთლიანად ამერიკის კონტინენტზე — 65.464. ევროპის ქვეყნებში მათმა რიცხვმა შეადგინა 10.919, ხოლო აფრიკის — კონტინენტზე 10.639.

ეკოლოგია

ყველაზე სუფთა ქალაქი

ჰააგა. ჰოლანდიის ჩრდილოეთ ბრაბანტის პროვინციის დედაქალაქი ჰერტოგენბოსი ევროპის ყველაზე სუფთა ქალაქად გამოცხადდა.

ამას იუწყება სპეციალური ჟიური, რომელმაც „გარემოს დაცვის ევროპის წლის" ფარგლებში შეისწავლა დასავლეთ ევროპის ყველა ქვეყნის ქალაქების ცხოვრების პირობები. საშუალო მასშტაბის ქალაქებს შორის მეორე ადგილზეა ჰოლანდიის ქალაქი დორტრეხტი, მსხვილ ქალაქებს შორის სისუფთავის მხრივ პირველი ადგილი დაიკავა ლას-პალმასმა, მეორე — ესპანეთის ქალაქმა ბილბაომ.

კონკურსის ერთ-ერთი ორგანიზატორის თქმით, ბევრ დასავლეთევროპულ ქალაქს ჯერ კიდევ დიდი გზა აქვს გასავლელი, სანამ მათი მცხოვრებლების შეგნებაში განმტკიცდება აზრი გარემოს დაცვის საარსებო მნიშვნელობის შესახებ.

შესწავლა სსრ კავშირის პროკურატურაში

[illegible]

სპორტი

ფეხბურთი

მეცხრედ...

[illegible]

ბ. ხოჯაბერიძე.

ქართული ჭიდაობა

კასპი. თბილისი. ხაშური

[illegible]

რედაქტორი ნ. ზურაბაძე.

ტელევიზია—შაბათი, 30 აპრილი

მოსკოვი

[illegible]

თბილისი

[illegible]

კომუნისტი ინდექსი 68434 [illegible]